პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 23 აპრილი, 1947 წ. № 83 (7867). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

წმიდად შეასრულოთ სამშობლოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი. მოწინავე (1-ლი გვერდი).

უფრო ფართოდ გავაჯაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამის შესასრულებლად! (1-ლი გვერდი).

შ. ალუსიძე—იქ, სადაც მუშაობდა ახალგაზრდა სტალინი (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება: გ. გუგუნავა — აქტივის სემინარი ნაყოფიერად მუშაობს (მე-2 გვერდი).

წერილების გაცვლა ვ. მ. მოლოტოვსა და ჯ. მარშალს შორის კორეის შესახებ (მე-3 გვერდი).

საბჭოთა საქმეთა მინისტრების საბჭოში (მე-3 გვერდი).

ალ. მინდაძე — ბაკურიანის ტყეებში ოთ კოლმეურნეთა საამდიცინო მომსახურება (მე-4 გვერდი).

ფუტბალი (მე-4 გვერდი).

წმიდად შეასრულოთ სამშობლოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი

საბჭოთა ხალხის მთელი ღონისძიებები ამყამად მიმართულია უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადასაწყვეტად — უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის ისეთი დაბალეობა, რომელიც შესაძლებელს გახდის უმოკლეს ვადაში შევმნათ სურსათის სიუხვე ჩვენი მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მუხუტეი მრეველობისათვის და დავაგროვოთ სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი სახელმწიფო რეზერვები.

თავის წერილებში ამხანაგ სტალინსადმი კოლმეურნე გლეხობამ სერიოზული ვალდებულება იკისრა სამშობლოს წინაშე — უკვე მიმდინარე წელს მიაღწიოს ძირეულ გარდატეხას სოფლის მეურნეობის აღმავლობაში. ახლა იქმნება მოსავლის საფუძველები კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე. სამხრეთის რაიონების შემდეგ თესვა დაიწყეს ჩვენი ქვეყნის ცენტრის, ვოლგისპირეთის, ურალისა და ციმბირის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ საკოლმეურნეო სოფელში უდიდესი აღფრთოვანებით მიეღო. სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელები ამ ისტორიულ დოკუმენტს განსახილავენ როგორც სიმდიდრისა და სიუხვისაკენ უსწრაფესი წინსვლისათვის საბრძოლო სტალინურ პროგრამას. ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილი წერილები მკაფიოდ მოწმობენ საბჭოთა გლეხობის პატრიოტიზმს, ადასტურებენ იმას, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება წარმატებით შესრულდება.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ საკოლმეურნეო სოფელში დიდი როლი უნდა შეასრულოს მაღალი, მყარი მოსავლისათვის ბრძოლაში. შეჯიბრების მონაწილენი ვისურვლობენ გადდებულ ვალდებულებებს, ეუფლებიან სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატობა მოწინავე გამოცდილებას.

ის, რასაც გუშინ იყენებდენ მოწინავე რგოლები და ბრიგადები, დღეს კოლმეურნეობა ფართო მასების საკუთრება ხდება. სოფლის მეურნეობის მუშაკები ღიებენ დიფერენციერებულ ვალდებულებებს, ითვალისწინებენ თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ბრიგადისა და რგოლის შესაძლებლობებს.

მაგალითისთვის ავიღოთ ალტაის მხარე. უწინ ალტაიზე მოწინავე ფერმატეტრიკას იყენებდნენ მხოლოდ მოწინავე მრეველები, ახლა კი ათიათასობით კოლმეურნე ეშრადება მის გამოსაყენებლად. სწორედ ამან შეაქმნა იმის შესაძლებლობა, რომ ეკისრათ ესოდენ პასუხსაგები ამოცანა: აიღონ საგაზაფხულო ხორბლის მოსავალი 100-115 ფუთი სამმეოთხედი მილიონი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებიან არა მარტო მარცვლეულის წარმოების, არამედ სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის აღმავლობისათვის. მტკიცე ანგარიშზე დამყარებული ყუნანელი და ეკონომიური მხეილეულების, კალნინელ მესელეთა, მოსკოველ ბეთოტენთა, ანდიჟანელ მუბამბეთა—დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის ალსანმნიშვნელი შეჯიბრების ყველა მონაწილეთა ვალდებულებანი.

ყველა ისინი ისახავენ ერთ კეთილშობილურ მიზანს: გაადიდონ სასურსსათო და ტექნიკური კულტურების საერთო მოსავალი, გაუუმჯობესონ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. ამ კეთილშობილური მიზნისათვის საბჭოთა გლეხობა იყენებს ყველფერს, რითაც მდიდარია საკოლმეურნეო პრაქტიკა, — საუკეთესო მემინდვრეების, ტრაქტორისტების, საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორებისა და წინამძღოლების გამოცდილებას.

ბელდისათვის მიცემული სიტყვა ჩვენს გლეხს, ისევე როგორც თვითეულ საბჭოთა ადამიანს, წმიდა სიტყვად, კანონად მიიჩნია. ეიღრე ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნ წერილს ხელს მოაწერდენ, გლეხებმა ყოველმხრივ ასწონ-დასწონეს თავიანთი ეჯიბრები, იანგარიშეს სამეურნეო შესაძლებლობანი და, რაკი ხელი მოაწერეს, მთელი ძალით ეცდებიან თავისი ვალდებულების შესრულებას.

მაგრამ არ შეიძლება ეიფიკროთ, რომ საქმე თავისთავად გაკეთდება. კოლმეურნეთა ამაღალი ვალდებულებები—ეს მხოლოდ მოკმედების გეგმაა, საბრძოლო პროგრამაა. საბჭოთა უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა, რომ ამ პროგრამას კონკრეტული მატერიალური ფორმა მიეცეს — იუცეს ტონობით მარცვლეულად, ბამბად, შაქრის ჭარხლად, ბოსტეულად, ხელად და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებად. ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელება ახლა დამოკიდებულია კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაზე. „სოფლის მეურნეობისადმი მთელი ხელმძღვანელობა ქვემოდან ზემოდ,—ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში,—აუცილებელ უნდა იქნას უფრო მაღალ დონეზე, რომელიც შეესაბამება სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ უდიდეს ამოცანებს“.

უხეი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა უწინარეს ყოვლისა იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ ბოლო ქოიელოს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შეფასებას საშალო მონაცემების მიხედვით და „უზრუნველყოფილ იქნას ქმედითი დახმარება ჩამორჩენილნათვის, მათი აყვანა მოწინავეთა დონემდე.

პარტიის რაიკომები უნდა განიმსჭვალონ კოლმეურნეობების მდგომარეობისა და განვითარებისათვის პასუხისმგებლობისათვის მთელი სისრულით, მიიღონ ზომები თვითეული კოლმეურნეობის განსამტკიცებლად. საჭიროა უფრო ფართოდ გაეწიოთ უხეი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების პროპაგანდა, გამოვცეთ ბროშურები, დავბეჭდოთ გაზეთებში სტატიები, გამოვიყენოთ რადიო, რომ კოლმეურნეებს გაეიცნოთ სოციალისტური შრომის გმირებისა და მოსავლიანობის გადიდების სხვა მოწინავეთა მეთოდები.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მოსავლიანობის მოწონავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და მათი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ მიიღეს როგორც ახალი გამოცდილება პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის ზრუნვისა კოლმეურნე გლეხობისათვის, როგორც სტამეული სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის. ამ ბრძანებულებას რომ იხილავენ, კოლმეურნეები თვალს აყლეტენ თავიანთ წინანდელ ვალდებულებებს და იღებენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, რათა უკვე მიმდინარე წელს დაიმსახურონ მთავრობის ჯილდოს მიღების საპატიო უფლება.

ეს ავალებს ადგილობრივ ხელმძღვანელებს და უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ისეთი წესრიგი დაამყარონ დაგეგმვისა და შრომადიდების აღრიცხვაში, რომ თვითეულმა კოლმეურნემ მიიღოს დამსახურებისამებრ, რომ არ იყოს გაუპირიმეგება შრომის ორგანიზაციაში და გათანაბრება ანაზღაურებაში. საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის აღმავლობის ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორიც არის შრომის დამატებითი ანაზღაურება მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. შრომის დამატებითი ანაზღაურება ჭქმნის კოლმეურნეთა პირად დაინტერესებას, სტიმულს აძლევს მათ გამონაზონ ახალი გზები ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ახლა, როცა მთელი რაიონები და ოლქები კისრულობენ ვალდებულებას გადაჭარბებით შესრულონ მიმდინარე წელს მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმა, ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ ვადადგე და მოლიანად შეეასრულოთ ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე და სრულფასოვანი გაეგაოთ კოლმეურნის შრომადღე.

უდიდესი პასუხისმგებლობა საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ეკისრებათ სოფლის კომუნისტებს. მათ უნდა გვიჩვენონ შრომითი მამაცობისა და ვმრთნის მაგალითი. მათი პირადი მაგალითი განყოლიებს ყველა კოლმეურნეს შრომაში მაღალი ორგანიზებულობისათვის, გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

საგაზაფხულო თესვის ცხარე დღეებში უხეი მოსავლისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მონაწილეებმა უნდა გვიჩვენონ სამშობლოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ნმუშები. საბჭოთა ადამიანის სიტყვა—მტკიცე სიტყვაა!

„პრავდის“ 21/IV მოწინავე

უფრო ფართოდ გავაჯაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამის შესასრულებლად!

ვიბრძოლებთ გამარჯვებისათვის

ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლეკტივმა იკისრა 512 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 2.000 კილოგრამი ფოთოლი. მეურნეობას წარმატებთ შეუძლია ეს ვალდებულება შეასრულოს. შარშან ჩვენ სახელმწიფოს ჩავაბარეთ 635.592 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 510.000 კილოგრამისა. გადამეტებით შევასრულეთ ლაო-ჩაის და ტუნგის დამზადების დავალებებიც.

წელს ჩაის პლანტაციები დროულად და მაღალხარისხოვნად დავბარეთ, ნიადაგში შეეიტანეთ ფოსფორიანი და აზოტოვანი სასუქი. ჩაის ფოთოლი უკვე შემოვიღეთ.

გასული წლის გამოცდილებით ვიცით, რომ მოსავლიანობის ამაღლების ეფექტანი ღონისძიებათა ცალკეულ მეჩაიეებზე პლანტაციების მჭკვიანებს მიმგაზეა. წელს ეკოპაყოფილი გვაქვს 25 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი. სტახანოვიელები იბრძვიან იმისათვის, რომ ჰექტარზე მიიღონ 3.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო 5 ჰექტარი ფარობის თვითეულ ჰექტარზე — 5 ათასი კილოგრამი.

სამეურნეო მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა. ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნი წერილის განხილვასის სტახანოვიელმა მუშამ დ. ბურჭულაძემ განაცხადა:

— სამეურნეობის მუშების ბატრიოტული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დაუფალავად ზრუნავენ პარტია, მთავრობა, ჩვენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი. ამ მზრუნველობის ჩვენ, მუშები, ვუპასუხებთ უხეი მოსავლის მოყვანით. ეკისრულმა წელს ჰექტარზე მოვიყვანთ 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

აქ ახლა ბევრია ისეთი მუშა, რომელებაც იკისრეს ჰექტარზე 4.000-5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლის მიღება. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის კარგად მუშაობენ მ. სტოიკინა, დ. ალოიტნაოვა, რომელნიც ღიღერ ნორმებს ერთთორად და ერთისაბად ასრულებენ.

ჩაის ფაბრიკეს წელს ჩავაბარებთ 2.900 ათას კილოგრამ კარგი ხარისხის ფოთოლს და ყოველ ლონეს ვიხმართ მეურნეობის სანმუშოდ გადაქცევისათვის. ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ნაკვეის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლეკტივს. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდეთ.

ი. ფუტურიძე

იჩხარეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

ახალი ვალდებულება

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სონია გოგოხია 12 წელია, რაც ვალის რაიონის ანიგვარის კოლმეურნეობის „სტალინური გზით“ მეთაბმაჯოხის სანერგე მეურნეობას ხელმძღვანელობს. სტახანოველმა კოლმეურნემ სახელი გითქვა თამბაქოს უხეი მოსავლის მოყვანით. 1945 წელს მან 0,1 ჰექტარზე მოიყვანა 505 კილოგრამი, ხოლო შარშან 680,5 კილოგრამი თამბაქო, გამომუშავა 521 შრომადღე, მიიღო 3.283 კილოგრამი სიმინდი და სხვა პროდუქტები, ბრეშმა-წაანაატის სახით—4 ათასი მანეთი.

ამბ. გოგოხია ძალოვნის დაუზოგავად მუშაობს, რომ წელსაც თამბაქოს უხეი მოსავალი მოიყვანოს. ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილის

უხეი მოსავლისათვის მებრძოლნი ნაესაკოვოდან

ბაბაში რაიონის სოფელ ნაესაკოვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დიდი სტალინისათვის გასაგზავნი წერილის გაცნობისას ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარონ 50 ტონა სოია, ცალკეულ ნაკვეთებზე მიიღონ 70 ცენტნერი სიმინდი, ერთი საფურავი ძროხისაგან 500 ლიტრის ნაცვლად მიიღონ 650 ლიტრი რძე, ერთი კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლისაგან—45 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

ციტრუსების სანერგის გამგე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამბ. ილ. არველაძემ განაცხადა:

— ბელადისათვის მიცემულ პირობას განუბრკოლად შევასრულებთ. ბრიგადა დაამყნოს 30 ათას ძირ ციტრუსს, მივაღწევთ ნამყენის 80 პროცენტად გახარებას, ერთ ჰექტარზე გავაშენებთ ფორთოხალსა და ლიმონს.

მეგრელელებმა ი. კაჭარავამ, ლ. მიგინეიშვილმა, ნ. ბეგლარიმ, ი. ბეგლარიმ, გ. კუჭუხიძემ, ვ. ცანავამ და ე. ჩაჩავამ იკისრეს ჰექტარზე მოიყვანონ 70 ცენტნერი სიმინდი.

კოლმეურნეები შეუდგნენ უხეი მოსავლისათვის ბრძოლას. სიმინდის ნაკვეთებში შეტანილია 750 ტონა ნაკელი, გაყვანილია წყალსაწრეტი არხები.

ყანებსა და პლანტაციებში გაჩაღდა ენერგიული შრომა. კოლმეურნეები ა. მიგინეიშვილი, ბ. ღლენტი, კ. მიგინეიშვილი, ს. ტყვაცარია, ნ. ჭანტურია, ა. ხარებავა და თ. ქვილითაია ორმაგად ასრულებენ ღიღერ ნორმებს.

ე. ხაჩიბავა

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გელადისათვის მიცემული დაპირების გასანაღდებლად

ქუთაისის რაიონის სოფელ ნაბშირულების XVII პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობაში 15 აპრილ განიხილეს „კომუნისტის“ 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი ხარატის ილია ჭუმბერიძის წერილი თანასოფელ კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შეახებ.

კოლმეურნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ თანასოფელი სტახანოველის წერილს და იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 18 ცენტნერი სიმინდი.

სტახანოველი ი. ჭუმბერიძის მიერ შეჯიბრებაში გამოწვეული კოლმეურნეები ბაგრატ ჭუმბერიძე და ბიქტორ ხეცაძე სამსახუნო წერილში წერენ:

— გავიცანით ილია ჭუმბერიძის წერილს, რომელიც კისრულობს თავისი ბუთოწლიანი გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულებას და შეჯიბრებაში გვიწვევს ჩვენ. სიხარულით ვიღებთ მის გამოწვევას და ვკისრულობთ ჩვენს სტახანოველურ ნაკვეთებზე, რაც თითო ჰექტარი გვაქვს, მოვიყვანოთ 300 ფუთი სიმინდი ჰექტარზე. ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგიდ: სამჯერ მოვახლინი და საუკეთესო თესლი დავთესეთ ნაკვეთებზე. პირობას ვიძლევთ გულდასმით შევიასრულოთ სიმინდის უხეი მოსავლის ოსტატთა მუშაობის მეთოდები, საუკეთესოდ დავამუშაოთ ნათესები და შევასრულოთ საკარიოველოს კოლმეურნეების მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვა.

სასურველად მიგვაჩნია სტახანოველი ი. ჭუმბერიძე ადგილობრივ გაეცნოს ჩვენს მუშაობას და გაგვიზიაროს თავისი მიღწევები.

შ. ჯაავანაძე

ქუთაისის რაიონულ გაზეთ „სიმპარიელეს“ რედაქტორი

3. ი. ლენინის დაბადების 77-ე წლისთავი

რაიონში, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს

დიდი ლენინის სახელს ატარებს დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი რაიონი, რომლის ტერიტორიაც შდებარეობს კრემლის კედლებსა და ქალაქის განაპირას შუა. ლენინის რაიონში არიან ფართოდ ცნობილი დაზგამთმენებელი ქარხნები „კრასნი პროლეტარი“, ორჯონიკიძის სახელობისა და ბევრი სხვა დიდი საწარმო. აქ არის საბჭოთა მეცნიერების ტაბი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, ათობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა და სხვა. სტალინური ხუთწლედების გამამაღლონი რაიონი დამშეულ ლამაზი მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებით.

ლენინის რაიონის შრომელნი ფართოდ აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების 77-ე წლისთავს. ქარხნებსა და ფაბრიკების სამეცნიერო-ტექნიკურ, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა, სკოლებსა და ყოფილ საარჩევნო უბნებში ასობით აგიტატორი აწყობს საუბრებს

ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე. დაზგამთმენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ საამქროებში გაიხსნა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენები.

ამ დღეებში ლენინის რაიონის მშრომელნი დიდი აღფრთოვანებით მუშაობენ. 35 საწარმო, რომელიც იბრძვიან 1 მაისისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებად, დღითიდღე დადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. საკარბურატორო ქარხანამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის პროგრამა. ქარხანა „კრასნი პროლეტარში“ დღითიდღე მატულობს ის სტახანოველთა რაოდენობა, რომელებიც წლიური ნორმები შეასრულეს. 1 აპრილისათვის მათი რიცხვი 47 კაცს უდრიდა, ახლა კი — 70 კაცსე მეტია. ამ ქარხანაში წლიური დავალებანი პირველმა შეასრულეს ახალგაზრდელმა ბრიგადებმა. (საკდესი).

ПРОФЦАУСВИРИТА СРЧЕЛИЗ САКАЦЕШИРО ЦЕНЗРАЛЕУРИ САБЧОЛ XVI ПЕРЕНУШИ

ЗАКОМЕЛЛО ЦЕЛЕЛА

21 აპრილი დაიხარა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVI პლენუმი. საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი ამბ. სიდორენკოს მოხსენების ბაზა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოებში 1947 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ და ამბ. სოლოვიოვის მოხსენების გამო პროფკავშირთა სოოლო, სამხარეო, რესპუბლიკური, საგზაო, საიფზო და ცენტრალური კომიტეტების ანგარიშებისა და არჩევნების ჩატარების შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიური კონტროლი უნდა დაამყარონ იმ ვალდებულებათა შესრულებისაგან, რომელნიც საწარმოთა ადმინისტრაციამ და საფუძნიკო-საქარხნო კომიტეტებმა კოლექტიური ხელშეკრულებანი ნიმუშები. საბჭოთა ადამიანის სიტყვა—მტკიცე სიტყვაა!

პლენუმმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი პროფორგანიზაციების ანგარიშებისა და არჩევნების დროზე ჩატარებულად. პროფკავშირთა კონფერენციებსა და ყრილობებზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის განადგურება, პროფკავშირული დემოკრატიის ზუსტად დაცვა. ძირეული პროფორგანიზაციებისათვის — საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი, სამეკროთა კომიტეტებისა და პროფუჯეუფორგანებათვის ნრმწინეებთა ვადად დაწესებულია ერთი წელი, ხოლო პროფკავშირთა სოოლეო, სამხარეო, რესპუბლიკური, საგზაო, საიფზო და ცენტრალური კომიტეტებისათვის — ორი წელი.

სხდომის ბოლოს გამოვიდა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამბ. ვ. ვ. კუზნეცოვი, რომელმაც შეაჯამა პლენუმის მუშაობის შედეგები და დასახა პროფკავშირთა ამოცანები. (საკდესი).

თბილისის ქალთა აქტივის კრება

21 აპრილს შესდგა თბილისის ქალთა აქტივის კრება, რომელშაც განიხილა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს პირველი სესიის შედეგები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამბ. ვ. ბურჭულაძემ.

მჭეხარე ტაშით კრებამ სალამო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური დიდი სტალინის მეთაურობით, ალოვეთე კ. ნ. ჩარკვიანი.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს პირველი სესიის შედეგების შესახებ მოხსენები გამოვიდა საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამ. ზ. ალ. ბეტროვა.

— ქალთა საერთაშორისო ფედერაცია წარმოადგენს ხალხთა დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ძლავარ რაზმს, რომელიც მთელ თავის შესაძლებლობას ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას ანმარს, — ამბობს ამბ. პეტროვა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პირველმა სესიამ განიხილა მთელი რიგი საკითხები და მოწოდებით მიმართა მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს სასტიკი ბრძოლა აწარეონ ყველა ჯურის რეაქციონერთა წინააღმდეგ, რომლებიც აყოვნებენ ხმტიკე მშვიდობის დამყარებას. ფედერაციამ ხმა ამიღო ფრანკოს ესპანეთის წინააღმდეგ. ესპანელ ქალებმა თავიანთ ხელისუფალთაგან მოითხოვეს გაწყვეტონ დიპლომატიური და ფინანსური ურთიერთობა ფრანკისტულ ესპანეთთან, რათა შესაძლებლობა მიეცეთ ესპანეთის დემოკრატიულ ძალებს წარმატებით იბრძოლონ ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ. ფედერაციამ თავისი სიტყვა სთქვა ეკონომიური ასაბლეის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, ატომის ენერგიის ასაკონტროლავად და სხვ.

— ჩვენ, საბჭოთა ქალებმა უდიდესი წვლილი შეეტანეთ სოციალ-სტერი საამბოლოს მშენებლობის საქმეში. — განაგრძობს ამბ. პეტროვა, — გმირულად ეიბრძოდით ჩვენ ქვეყნის განსაცდელის დღეებში. ასევე დაუღალავად, თავდადებული შრომით ეიბრძვით მეოთხე სტალინური ხუთწლეულის წარმატებით განხორციელებისათვის, დიდი სტალინის მიერ დასახული პროგრამის შესასრულებისათვის. ჩვენი ამოცანაა ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობის ყველა ფრონტზე, რაც ხელს შეუწყობს 1947 წლის გეგმის ვადაზე ადრე — დიდი ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავისათვის შესრულებას.

ქალთა კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს, მამას და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია.

საბჭოთა მარშლების, გენერლებისა და ოფიცრების დაჯილდოება უნგრეთის ორდენებით

ბუდაპეშტი, 22 აპრილი. (საკდესი). უნგრეთის განთავისუფლებაში საბჭოთა არმიის თვალსაჩინო დამსახურების აღიარების ნიშნად რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზოლტან ტილდამ უნგრეთის ორდენებით დაჯილდოდა საბჭოთა მარშლების, გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფი. რესპუბლიკის უმაღლესი ორდენი „ვარსკვლავიანი დიდი ჯვრით“ დაჯილდოდა ბელი არიან საბჭოთა კავშირის მარშალები ვოროშილოვი, ტოლბუხინი და მალინოფსკი და უნგრეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი სვირიდოვი.

76 საბჭოთა გენერალი და ოფიცერი დაჯილდოებულია სხვა ორდენებით.

გუშინ პრეზიდენტმა დაჯილდოებულ გადაცა ორდენები. ჯილდოების გადაცემის ცერემონიას დაესწრო უნგრეთის მთავრობის მთელი შემადგენლობა. პრეზიდენტმა ზოლტან ტილდამ და გენერალ-ლეიტენანტმა სვირიდოვმა ერთმანეთს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის შემსწავლელთა დასახმარებლად

იქ, სადაც მუშაობდა ახალგაზრდა სტალინი

ბ ა რ ც ხ ა ნ ა

XX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში ბათუმი, ბაქოსა და თბილისის შემდეგ, მუშათა მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. აქ მუშაობდნენ: მანთაშევის, როტშილდის, სიდერისის, ხაჩატურიანცის და სხვა ქარხნები. ბლომად იყვნენ ნავსადგურის მუშები, რომლებმაც რამდენიმე გამოსვლაც კი მოაწყეს, მაგრამ ამ გამოსვლებს სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

ბათუმის მუშათა დარაზმვის, მათ შორის რევოლუციური მუშაობის გაჩაღების მიზნით 1901 წლის ნოემბერში იქ ჩავიდა ი. ბ. სტალინი. ეს თარიღი ისტორიულია არა მარტო საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. სტალინურმა დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა, რომლებიც მომდევნო წელს ბათუმში მოეწყო, ფართო გამოხმაურება ჰპოვეს თითქმის მთელ რუსეთში.

ბათუმი შეიძრა. მუშათა უბნები ბარცხანა, ფერიე, ლიმან-მელიე და ჭაობა გაცხოველდნენ, ახმაურდნენ.

ბათუმში ბევრი ისტორიული ადგილია. ქალაქი ამაყობს ამ ადგილებით. უყურებ ამ ადგილებს და ოცნებით გადადიხარ არც ისე შორეულ წარსულში, როცა აქ ახალგაზრდა სტალინი ცხოვრობდა, მოღვაწეობდა, მუშებში რევოლუციის ცეცხლს აჩაღებდა, რევოლუციურ წრეებს აწყობდა, გაფიცვებს ხელმძღვანელობდა.

დიდი წარსული აქვს აი თუნდაც ამ სახლს, რომელშიც სტალინი 1901-1902 წლებში ცხოვრობდა. ეს სახლი პუშკინის ქუჩაზე მდებარეობს. სამი ფიცრის ტახტი, თუნუქის ტაშტი, დოქი, რამდენიმე ტაბურეტი. ერთ-ერთი ამ ტახტთაგანი სტალინისა იყო. ამ ოთახიდან მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული სტალინი ბათუმის მოწინავე მუშებთან. ამ ოთახში ჩაატარა სტალინმა 1901 წლის 31 დეკემბერს მოწვეული კონფერენციის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ამ ოთახშივე მოუყარეს თავი იმ არალეგალური სტამბის ნაწილებს, რომელიც სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო ბათუმში. სულ რაღაც თვენახევრის მანძილზე ბათუმში სტალინმა 11 წრე მოაწყო: ზოგი ბარცხანაში, ზოგი გოროდოკში, ზოგიც ფერიეში, დანარჩენი ლიმან-მელიეში. სტალინი ერთი უბნიდან მეორეში გადადიოდა: მუშებში მომავალი გამარჯვების რწმენას აღვივებდა, მათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა.

* * *

აი მუშათა უბანი, ფერიე, ადგილი, სადაც სილიბისტრო ლომჯარიას სახლი იდგა. დღეს აქ ერთი სასიმინდეა გადარჩენილი. 1901 წლის 31 დეკემბერს ახალი წლის შეხვედრის საბაბით სტალინის თაოსნობით აქ შეიკრიბნენ მოწინავე მუშები, აქ შესდგა ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა პირველი კონფერენცია. ამ კონფერენციამ სტალინის მეთაურობით გამოჰყო ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელმაც ბათუმის კომიტეტის როლი შეასრულა. კონფერენციაზე სტალინი რამდენჯერმე გამოვიდა მგზნებარე სიტყვით. ჭაბუკი სოსო დამსწრეთ რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს უსახავდა. ხელმძღვანელი ჯგუფის წევრობის კანდიდატებიც თვითონ სტალინმა დაასახელა, ყოველი მათგანი დაახასიათა. მუშები გაოცებული დარჩნენ: ზუსტად, შეუცდომლად შეესწავლა ყოველი მათგანი თვენახევრის განმავლობაში.

აი ღამის ჩრდილი აიკრიფა, ფანჯრებს მზის შუქი მოეფინა. სტალინმა პირველი კონფერენცია რწმენით აღსავსე სიტყვებით დაასრულა: „ჩვენი მზეც მალე ამოვაო". ეს მზე დღეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს უნათებს.

* * *

ახლა აქ ბაღია გაშენებული, იმ წლებში კი აქედან მანთაშევის ქარხნის საყვირი მოუხმობდა მუშებს. ქარხანაში მზადდებოდა თუნუქის ბიდონები, ხის ყუთები, სწარმოებდა ნავთის ჩამოსხმა. 2 ათასამდე კაცი მუშაობდა ქარხანაში. მათს გაუგონარ ექსპლოატაციას ისიც თან ერთვოდა, რომ ქარხნის მმართველობა ეროვნულ შუღლს აჩაღებდა მუშათა შორის. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად მიიღო ზომები სტალინმა. თითქოს გუშინდელ ამბავს ჰყვებიან ძველი მუშები, ისე ნათლად აღბეჭდილა მათს მეხსიერებაში ახალგაზრდა სტალინის იმდროინდელი მოღვაწეობა.

— ქარხნის საერთო საცხოვრებელში სომეხი მუშა გარდაიცვალა,—მოგვითხრობენ ისინი.—მას უკუბოოდ დასაფლავება მოელოდა. სტალინმა ეს შემთხვევა ეროვნული სოლიდარობის განსამტკიცებლად გამოიყენა, მოწინავე მუშებს დავალება მისცა შეეგროვებინათ ფული და გარდაცვლილი პატივისცემით დაესაფლავებინათ. ეს დაკრძალვა დემონსტრაციად გადაიქცა. მასში ათასამდე მუშა იღებდა მონაწილეობას. ბათუმის საზოგადოება განცვიფრებული კითხულობდა: ვინ არის ასეთი დიდი პატივით რომ მიასვენებენო. — „საწყალი მუშაო", — უპასუხებდნენ დემონსტრანტები.

ამ ქარხანაში მოაწყო სტალინმა პირველი დიდი გაფიცვა, რომელიც მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მას სხვა გაფიცვები მოჰყვა. მემორიალური დაფა და ობელისკი, რომელიც აღმართულია აქ, ახალგაზრდა სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას გვაუწყებს.

* * *

ეს იყო მუშათა უბანი. ჭაობებში და ტყით დაფარულ ფართობზე აქა-იქ მოსჩანდა ქოხმახები. როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშების უმეტესობა აქ ცხოვრობდა. ცუდ ამინდში ქუჩები გაუვალი ხდებოდა. მაგრამ ვერც ჭაობი, ვერც წვიმა, ვერც ტალახი, ვერც თოვლი ვერ უშლიდა ხელს ახალგაზრდა სტალინს უბნიდან უბანში გადასულიყო და რევოლუციური მუშაობა გაეჩაღებინა. სტალინის ჩამოსვლის დღიდან ბარცხანა რევოლუციის უბნად გადაიქცა. მას სასოებით შესცქეროდნენ მოწინავე მუშები. ისინი ქუჩაში წელგამართულნი დადიოდნენ, სიამაყის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი.

ბარცხანა თავისი, მუშური იერით, საკუთარი კანონებით ცხოვრობდა, დამოუკიდებელი ჩვეულებები ჰქონდა, დიდ ძალას გრძნობდა. ეს სიამაყე, რწმენა და ძალა მას სტალინმა მისცა.

ხალხში ბარცხანის შესახებ ლეგენდები დადიოდა. ერთ-ერთ ასეთ ლეგენდაზე მოგვითხრობს მეფის მოხელე ვინმე ნიკოლოზ ვოიჩეკი. იგი გადმოგვცემს, რომ ხალხში გავრცელდა ლაპარაკი უცნობ პიროვნებაზე, რომელსაც „ბარცხანის გუბერნატორს" უწოდებდნენ. ეს „გუბერნატორი" განაგებდა რევოლუციონერთა ყველა მოქმედებას. ვერც ჟანდარმერიამ, ვერც პოლიციამ ვერ მიაკვლიეს ამ „გუბერნატორის" კვალს. „ბარცხანის გუბერნატორი" შიშის ჟრუანტელსა ჰგვრიდა ბათუმის ბურჟუაზიას. „იმ დროს, — გადმოგვცემს თავის მოგონებაში ეს ვოიჩეკი,—ბარცხანაში მთავრობის მამასახლისად იყო ვინმე კოტე გიორგაძე. წარმოსადეგი კაცი იყო. იცვამდა ჩოხა-ახალუხს, მასრებითა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით გაწყობილს. ერთხელ საგარაკო მატარებლით მივდიოდით. ვაგონში ხალხის ტევა არ იყო. არავინ ადგილი არ დაგვითმო.

— ვინ არის ის კაცი? — შემეკითხა ერთ-ერთი მგზავრი.

— „ბარცხანის გუბერნატორი", — უუპასუხე. ამან ბევრი მგზავრი შეაშფოთა. „ბარცხანის გუბერნატორი",— ჩურჩულით ატყობინებდნენ ისინი ერთმანეთს. გაჩერებაზე ვაგონიდან მრავალი მგზავრი ჩამოხტა. ვისარგებლეთ შემთხვევით და დასაჯდომი ადგილი ვიშოვეთ. ხმებმა „ბარცხანის გუბერნატორის" შესახებ მხარის გამგებლობაც შეაშფოთა. კავკასიის მთავარმართებელმა გუბერნატორ დრიაგინს საყვედურით მიმართა, როგორ დაუშვით თქვენს გვერდით, ბარცხანაში რევოლუციონერი გუბერნატორის „რსებობაო".

ეს ლეგენდა ბარცხანის ავტორიტეტზე მიგვითითებს.

ბარცხანაში რევოლუციური მუშაობის ერთ-ერთი ცენტრი ახლაც კარგად არის შენახული. ეს არის ის ადგილი, სადაც პორფილე ქურიძე ცხოვრობს.

— მაშინ ეს სახლი ასეთი როდი იყო,—ამბობს მოხუცი, ოთხმოც წელს მიახლოებული პორფილე, — ღარიბად ვცხოვრობდი. აქ ტყე იყო, ძეძვ-ეკლით დაფარული.

ახლა ეს სახლი კოხტად გამოიყურება. იგი მანდარინის ბუჩქებშია ჩადგმული. სახლამდე ჭიშკრიდან პალმების პატარა ხეივანია გაშენებული. ოთახის კედლებს სტალინის სურათები ამშვენებს. ამ სახლში ჩაატარა სტალინმა როტშილდის 32 მუშის დაპატიმრებასთან დაკავშირებული კრება. ეს მოხდა 1902 წლის 7 მარტს. ამ სახლში მიიღო კრებამ სტალინის წინადადება — 8 მარტს მოწყობილიყო დემონსტრაცია ბათუმის საპატიმროს წინ. როგორც ცნობილია, დემონსტრანტები დააპატიმრეს. ამხანაგ სტალინის მეთაურობით 9 მარტს მოეწყო მუშათა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია, რომლის მიზანი იყო დაპატიმრებულ მუშათა განთავისუფლება. დემონსტრაციაში 6.000-მდე მუშა მონაწილეობდა. დემონსტრაციას თვითონ სტალინი ხელმძღვანელობდა. იგი დემონსტრანტთა პირველ რიგებში იდგა. თვითმპყრობელობის მსახურებმა დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს. ეს მოხდა წითელი ყაზარმების წინ.

დემონსტრაციის დახვრეტამ მუშებში კიდევ უფრო გაზარდა თვითშეგნება. ნათელი გახდა, რომ მუშათა მტერია არა მარტო კაპიტალისტები, არამედ მათი დამცველი მეფეც. რუსეთის მუშათა ცენტრებს ელვის სისწრაფით მოედო ბათუმის მუშათა დახვრეტის ამბავი და მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას.

12 მარტს სტალინის ხელმძღვანელობით 9 მარტის მსხვერპლთა დაკრძალვა მოეწყო, რაც აგრეთვე მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

სოუქ-სუში არის ძმათა დიდი სასაფლაო. აქ განისვენებს 15 მუშა, 15 მსხვერპლი თვითმპყრობელობის ველურობისა. ბათუმის მუშათა დემონსტრაციის დახვრეტასთან დაკავშირებით სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები მოეფინა არა მხოლოდ ბათუმს, არამედ მთელ გურიას, იმერეთს, ამიერკავკასიის დიდ ქალაქებს. „დიდება თქვენ, სიმართლისათვის დახოცილებო, — აუწყებდა საზოგადოებას პროკლამაცია, — მადლი იმ ძუძუებს, რომლებსაც თქვენ სწოვდით, მადლი იმ დედებსა, რომელთა მკერდზე თქვენ აღიზარდეთ, მადლი იმ მშობლებსა, რომლებმაც თქვენ გმირებად აღგზარდათ".

ასე ზრდიდა სტალინი ბათუმის მშრომელებში გმირობას, თავდადებას მუშათა საქმისათვის, სიმართლისათვის პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე.

სოუქ-სუში ბევრჯერ ჩატარებულა მუშათა ფარული კრებები. აქ ისმენდნენ მუშები სტალინის მგზნებარე სიტყვებს.

ბათუმის საპატიმროში ყოფნის დროსაც ახერხებდა სტალინი მჭიდრო კავშირის გაბმას მუშებთან, ხელმძღვანელობდა მათ.

სიამაყის გრძნობითაა აღსავსე დღევანდელი ბარცხანა, სადაც ახალგაზრდა სტალინმა უდიდესი მუშაობა გასწია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

* * *

ბარცხანა დღეს სრულიად გამოცვლილია. სტალინური ხუთწლედების შედეგად იგი აყვავებულ ბაღს წარმოადგენს. გაყვანილია შესანიშნავი ქუჩები, რომელთა კიდეები ევკალიპტთა ჩრდილით არის დაფარული. ლამაზად აგებულ სახლებს ამშვენებს ჩაისა და მანდარინის ბუჩქები. მაგნოლიები, ვენახები, ხურმის ტყეები.

მაგრამ დღევანდელი ბარცხანის მშვენებას, სიამაყეს იმდენად ეს ბაღები არ წარმოადგენენ, რამდენადაც სტალინის სახელობის ნავთის გადამმუშავებელი უზარმაზარი ქარხანა, რომელიც მის ფართობზეა გადაჭიმული. დღევანდელ ბათუმს ეს ქარხანა აძლევს იერს, ბათუმის გულის ძარღვი ეს ქარხანაა. შეიძლება ითქვას, იგი მხოლოდ ბარცხანის, კიდევ მეტი, მხოლოდ ბათუმის სიამაყეს როდი წარმოადგენს. იგი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სიამაყეა. მისი საფუძვლები ჩაიყარა ამ 19 წლის წინათ, პირველ სტალინურ ხუთწლედში. იქ, სადაც წინათ გაუვალი ჭაობები მალარიას ავრცელებდნენ და ლიანები იყო გაბარდნილი, ახლა აღმართულია პირველი ხუთწლედის პირმშო, რომელიც საწვავი მასალით ამარაგებს ჩვენს ქალაქსა და სოფელს.

* * *

ეს იყო როტშილდის ქარხანა—ნავთპროდუქტების ჩამომსხმელი, შემფუთავი და გადამგზავნი. ბათუმის არც ერთ ქარხანაში არ იყო „მოწესრიგებული" მუშების ექსპლოატაცია ისე, როგორც აქ. როტშილდმა შრომის მექანიზაციის მეოხებით 2.500 მუშა ქუჩაში გაყარა, ხელფასი 2-3 მანეთიდან 60 კაპიკამდე დაიყვანა. ფართოდ იყო გამოყენებული ჯარიმები, მცირეწლოვანთა შრომა. არ იყო დასასვენებელი დღეები. ამ დროს ჩავიდა ბათუმში სტალინი. მუშათა საშინელი პირობების გაცნობის მიზნით იგი ხე-ტყის განყოფილებაში შევიდა სამუშაოდ. ახლაც შენახულია ქარხნის ეს კორპუსი. სხვა კორპუსებიც არის შენახული.

ამ ქარხანაში მოაწყო სტალინმა მუშათა დიდი გაფიცვა. მუშებმა ნებისყოფის შეუდრეკელობა, უმაგალითო სიმტკიცე გამოიჩინეს და ეს სწორედ იმიტომ, რომ მათ ხელმძღვანელობდა სტალინი.

ახლა აქ, ამ ადგილზე, მოთავსებულია ბათუმის ცენტრალური ხის დამმუშავებელი ქარხანა. იგი 1924 წელს მოეწყო.

ეს ქარხანა ბათუმის მოწინავე ქარხნების რიგს ეკუთვნის. მას ჰყავს წარჩინებული მუშები. მათგან ხშირად გაიგონებთ: ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ მუშაობა გვიხდება აქ, სადაც სტალინი მუშებს რაზმავდა.

აქ ახლაც არიან მუშები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ სტალინურ დემონსტრაციებში.

ბევრია ისტორიული ადგილი ბათუმში. ისინი დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის მოწმენი არიან.

შ. აფხაიძე

შუააზიელი მეშახტეები ტყვარჩელში

მოძმე შუააზიელი მეშახტეების დელეგაციის ჩამოსვლამ ტყვარჩელში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. 12 აპრილს სტუმრების მიერ ბერიას სახელობის შახტის მეხუთე უბანში მუშაობისას მიღწეულ წარმატებას — ერთ ცვლაში ნორმის გადამეტებით 77 ტონა ქვანახშირის მოპოვებას, მეორე დღესვე ტყვარჩელელმა მეშახტეებმა უპასუხეს იმავე უბანზე უფრო დიდი წარმატებით — დღიური გეგმის გადამეტებით ამოიღეს 107 ტონა ქვანახშირი.

რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდნენ სტუმრები ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებს, საწარმოებს, ახალი შახტების მშენებლობას. შემდეგ მეშახტეთა კლუბში გაიმართა ტყვარჩელელთა შეხვედრა დელეგაციასთან. შეხვედრა გახსნა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ პ. ზვერევიჩმა. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველმა ამხ. შ. გარდაფხაძემ. სიტყვები წარმოსთქვეს შუააზიელ მეშახტეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ინჟინერმა ა. ტიმაშევმა, „კირგიზუგოლის" სახელოვანმა მებიგემ ა. უსტინოვიჩმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მეშახტე ვ. ქიტნიკოვმა და სხვ.

შეხვედრის მონაწილენი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სტუმრების წინადადებას — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შუა აზიისა და საქართველოს მეშახტეებს შორის 1947 წელს ქვანახშირის მოპოვების გეგმათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. შეხვედრა გადაიქცა ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

ქ. მჭედლიშვილი

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

დეპუტატების დახმარებით

— ზემო ღვანის კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვი სცდება. მეხრეები და გუთნისდედები არ გვყოფნის. შეიძლებოდა თუ არა გამონახვა ამ მდგომარეობის გამოსწორების საშუალება?— განაცხადა საბჭოში მოწვეულ თათბირზე ავნევის (ზნაურის რაიონი) სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. პაპაშვილმა.

ეს სიტყვები ღრმად ჩასწვდა ამავე საბჭოს დეპუტატს მათიკო ქუმარიტოვას.

მ. ქუმარიტოვა ზემო ღვანის კოლმეურნეობაში მუშაობს, სანიმუშო კოლმეურნედ ითვლება. არავის ახსოვს, რომ მას დავალება დათქმული დროისათვის არ შეესრულებინოს. მაგრამ დეპუტატისათვის ნათელი გახდა, რომ ასეთი მუშაობა მაინც არ კმარა.

დეპუტატი ესაუბრა კოლმეურნე ქალებს, დაარწმუნა ისინი, რომ საჭიროა საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებში მათი მონაწილეობა, რათა მუშა-პირუტყვი მთლიანად იქნას გამოყენებული.

აქ ამხ. ქუმარიტოვამ მოიშველია აგიტაციის ძლიერი საშუალება—პირადი მაგალითი—გუთნეული გაამზადა და გუთნისდედად თვითონვე გაჰყვა. მთელ დღეს დაძაბულად მუშაობდა და ამით ყველა დაარწმუნა, რომ ქალებსაც შეუძლიათ გასწიონ გუთნისდედობა, რომ ისინი მამაკაცებზე ცუდად როდი ასრულებენ ამ სამუშაოს.

ამხ. ქუმარიტოვას მიმბაძველები გამოუჩნდნენ. მათ შორის პირველი იყო ვერა თადტაევა. კოლმეურნე ქალების დახმარებით საქმე წინ მიდის. თავთავიანი კულტურების თესვა კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა. მალე აქ სიმინდის თესვასაც დაამთავრებენ.

მუშა-პირუტყვი სცდებოდა ამავე სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ არკნეთის კოლმეურნეობაშიც. მიზეზი აქ ის იყო, რომ კოლმეურნეობას საკმაო გუთნები არა ჰქონდა. გამოსავალი საბჭოს დეპუტატმა ვასილ ჯაჯაევმა იპოვნა. მან კოლმეურნეობიდან წაიღო ორი ძველი გუთანი, რომლებსაც უვარგისად სთვლიდნენ, და სწრაფად და კარგად შეაკეთა ისინი.

არკნეთის კოლმეურნეობაში ახლა ყოველდღიურად ორი გუთნეულით მეტი მუშაობს და საგაზაფხულო ხვნა-თესვაც უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

მსგავსი ფაქტების დასახელება კიდევ შეიძლებოდა. ავნევის სასოფლო საბჭოს აღმასკომი დეპუტატების დახმარებით კარგად ხელმძღვანელობს კოლმეურნეთა თავდადებულ მუშაობას უხვი მოსავლის მისაღებად.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ეხმარებიან დემობილიზებულ მეომრებს

მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომმა საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ მეომრებს მიმდინარე წელს დიდი დახმარება გაუწია. 73 დემობილიზებულს შეუკეთდა სახლი, ორმა ახალი ბინა მიიღო. გაიცა 65 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა და 610 კუბმეტრ შეშა 427-მდე დემობილიზებულს მიეცა სამრეწველო საქონელი, 415-ს — ხორბალი და ფულადი დახმარება.

ვ. ციხისთავი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

აქტივის სემინარი ნაყოფიერად მუშაობს

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომთან მუშაობს პარტიული და სამეურნეო აქტივის სემინარი. მასში გაერთიანებულია 50 კაცი. სემინარს ხელმძღვანელობს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. კობახიძე.

სემინარი მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო აქტივის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. უკვე ჩატარებულია 9 მეცადინეობა. სემინარები მოეწყო შემდეგი საკითხებისა და ნაშრომების შესასწავლად: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში", „ლენინის ნაშრომი „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", „ლენინის ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ბოლშევიკური და მენშევიკური მიმართულების წარმოშობა", ლენინის ნაშრომები „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში", „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", ა. ა. ჟდანოვის მოხსენება ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგები და სხვ.

სემინარის მუშაობაში მსმენელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. მათ წინასწარ იციან მორიგი სემინარის თემა. წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ ისინი ცოდნას კიდევ უფრო იღრმავებენ პარტიულ კაბინეტში მათთვის მოწყობილ კონსულტაციებსა და ლექციებზე და სემინარის მეცადინეობაზე მომზადებულნი ცხადდებიან. მსმენელთა კამათი და აზრთა გაზიარება ამა თუ იმ საკითხზე ყოველთვის მოსდევს სემინარის ხელმძღვანელის შენიშვნები და დასკვნა. ასეთი მეთოდი ხალისსა და ენერგიას ჰმატებს მსმენელებს. ისინი უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ თავიანთი თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ამხანაგები: ალ. ნამიჩეიშვილი, ქ. გოგიტიძე, ვლ. გიორგობიანი, ნ. თელია, ვ. ბობოხიძე, გ. ბოჭორიშვილი, ვ. იასაშვილი, ო. თევდორაძე, ქ. კირთაძე, ა. მესხი, ი. კანდელაკი, ს. ძამუკაშვილი და სხვ. ეს ამხანაგები გამოირჩევიან არა მარტო იმით, რომ დაუღალავად მუშაობენ თავის თავზე, არამედ იმითაც, რომ დაუზარელად ეხმარებიან სხვებსაც, უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას.

აქტივის სემინარის ბევრი მსმენელი წარმატებით ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას, კითხულობს მოხსენებებს. საინტერესო მოხსენებები ჩაატარეს კოლმეურნეობებში ამხანაგებმა გ. კვაჭაძემ, ვ. იასაშვილმა, გ. ბოჭორიშვილმა, ვ. ბობოხიძემ, ი. კანდელაკმა, ქ. კირთაძემ, ა. მესხმა და სხვ.

სემინარის ზოგიერთი მსმენელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავისი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლების საქმეს. მაგალითად, დილმის მტს-ის დირექტორი ამხ. ალ. ბარბაქაძე და ნორიოს ნავთსახდელი უბნის უფროსი ამხ. ნ. ფირცხალავა სემინარის მეცადინეობას ხშირად აცდენენ. 9 მეცადინეობიდან ისინი 6-ს არ დასწრებიან.

სემინარი შეუდგა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. სემინარის პირველი მეცადინეობა ამ საკითხზე ჩატარდა 13 აპრილს.

სემინარში გაერთიანებული ამხანაგების დასახმარებლად რაიკომის პარტიული კაბინეტი აწყობს კვალიფიციურ ლექციებსა და კონსულტაციებს ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული პერიოდების მიხედვით.

გ. გუგუნავა

სწრაფად მივაწოდოთ მევენახეობის რაიონებს შაბიამანი

მიღებულია ცნობები, რომ საქართველოს მევენახეობის მთელ რიგ რაიონებში უკვე დაწყებულია ვენახების პირველი შეწამვლა. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება შაბიამანზე, რომელსაც ჩვენი მევენახეები იღებენ სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელის საშუალებით.

როგორ ამარაგებს მრეწველობა შაბიამნით სამომხმარებლო კოოპერაციას, როგორ მიმდინარეობს მისი შეზიდვა რაიონებში, დაკმაყოფილებულია თუ არა მევენახეობისა, მეხილეობისა და ციტრუსოვანთა რაიონების მოთხოვნილება შაბიამნით და რა უახლოესი პერსპექტივა აქვს ამ მხრივ სამომხმარებლო კოოპერაციას — ყოველივე ამის შესახებ ცეკავშირის სავაჭრო სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს გადასცეს:

— წელს საქართველოს მევენახეობის, მეხილეობის და ციტრუსოვანთა რაიონების მოთხოვნილება შაბიამანზე თითქმის ერთი მესამედითაა გაზრდილი. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ცეკავშირის სავაჭრო სამმართველოს განრიგით რაიონებში შაბიამნის შეზიდვა და სავაჭრო ქსელში მისი სარეალიზაციოდ გამოტანა დაწყებულ იქნა ჯერ კიდევ იანვრის დამდეგს. 18 აპრილისათვის რაიონებში უკვე შეზიდული იყო იმდენი შაბიამანი, რამდენიც შარშან თითქმის მთელი წლის განმავლობაში არ შეზიდულა. ამჟამად მიღებულია და დაჩქარებით იგზავნება 800-ზე მეტი ტონა შაბიამანი, რაც სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ მიღებული იქნება აპრილის ბოლომდე.

ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ შაბიამნით უზრუნველგვეყო პირველ რიგში რკინიგზას დაშორებული რაიონები.

მომავალ თვეებში შაბიამნის შეზიდვის შეფერხების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რკინიგზის უწყების მიერ ვაგონების დროულად მოწოდება და მრეწველობის მიერ შაბიამნის გამოშვების შემდგომი თვეების გეგმების შესრულება.

ამჟამად შაბიამანი იგზავნება მარნეულის, გურჯაანის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, ხაშურის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, სამტრედიის და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებში. საჭიროა ათობით სარკინიგზო ვაგონი ამ ტვირთების დანიშნულებისამებრ მისატანად და თუ რკინიგზის უწყებამ ეს ვაგონები უახლოეს დღეებში არ გამოყო, შესაძლოა შაბიამნის მიწოდება შეფერხდეს.

მრეწველობის იმ საწარმოთა უმეტესობა, რომელთაც დავალებული აქვთ შაბიამნის დამზადება, წარმატებით ასრულებს გეგმებს. კარგად მუშაობენ ქუთაისის ლიტოპონის და ბათუმის ქიმიური ქარხნები. მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის სისტემა. ჩამორჩა თბილისის მეორე ქიმიური ქარხანა, სადაც მაღალხარისხოვანი შაბიამნის გამოშვებისათვის ზრუნვა სასხვათაშორისო საქმედ მიაჩნიათ.

შაბიამნის გამოშვებაზე მომუშავე საწარმოთათვის წლის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი ახლაა. უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის მეურნეობაში სწორედ გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებშია დიდი მოთხოვნილება შაბიამანზე.

შაბიამნის მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, სოფლად ახლა დიდია მოთხოვნილება შესაწამლავ აპარატებზე (განსაკუთრებით ვერმორელის სისტემის აპარატურაზე) და მათ სათადარიგო ნაწილებზე. ცეკავშირის სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ გაგზავნილი შესაწამლავი აპარატები ყველგან მოკლე დროში გასაღდა.

საჭიროა სოფლის მომარაგების სამმართველომ გააძლიეროს რაიონებში შესაწამლავი აპარატურის შეზიდვა.

„კომუნისტის" სიგნალების შემდეგ

„მოვამარაგოთ ნედლეულით ასანთის ფაბრიკა"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 7 მარტის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „გლავსნაბლესის" მუშაკთა უთაურობის შედეგად მცხეთის ასანთის ფაბრიკას არ ამარაგებენ საკმაო ნედლეულით.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრი ამხ. გ. ჯაბუა გვატყობინებს:

წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. იანვარში ასანთის ფაბრიკამ ნაცვლად 37 ვაგონი ნედლეულისა მიიღო მხოლოდ 8 ვაგონი, თებერვალში ნაცვლად 34 ვაგონისა — 21 ვაგონი და მარტში ნაცვლად 34 ვაგონისა — 14 ვაგონი. ამ ნედლეულსაც ფაბრიკა დაგვიანებით იღებდა (მაგალითად, თებერვალში 21 ვაგონი ნედლეული თვის დამლევს მიიღეს). ეს აბრკოლებდა გეგმების შესრულებას.

სატყეო მრეწველობის სამინისტრომ მიიღო სათანადო ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამჟამად ფაბრიკა ნედლეულით უზრუნველყოფილია.

„ნაკლოვანებანი ქუთაისის რაიონის მტს-ის მუშაობაში"

ამ სათაურით „კომუნისტის" 18 მარტის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია. საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. გაბრიაძე გვატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა. რაიკომის ბიურომ „კომუნისტის" სიგნალთან დაკავშირებით განიხილა მტს-ის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მტს-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. აბდალაძეს და პარტბიუროს მდივანს ამხ. ხაჟომიას დაედოთ პარტიული სასჯელი.

წერილების გაცვლა ვ. მ. მოლოტოვსა და ჯ. მარშალს შორის კორეის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. მარშალმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა წერილები გაცვალეს კორეის საკითხზე.

ქვემოთ მოგვყავს ტექსტი ჯ. მარშალის ამა წლის 8 აპრილის წერილისა ვ. მ. მოლოტოვის სახელზე:

„მე მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო კორეაში არსებულ მდგომარეობას. საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შერეულ კომისიაში, კორეაში, ვერ შესძლეს წარმატებისათვის მიეღწიათ კორეის დროებითი მთავრობის შექმნის მხრივ. 19 თვე გავიდა იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, მაგრამ კორეის მდგომარეობა მხოლოდ ცოტათი გაუმჯობესდა. კორეა გაყოფილია ორ ზონად. საბჭოთა სარდალმა ჩრდილოეთ კორეაში უარი სთქვა ამ ზონებს შუა დამყარებულიყო თავისუფალი მიმოსვლა და ეკონომიური გაცვლა-გამოცვლა. ამან შეუძლებელი გახადა კორეელი ხალხის პოლიტიკური გაერთიანება ნებაყოფლობითის საფუძვლებზე და გამოიწვია მძიმე ეკონომიური გაჭირვება.

შეერთებული შტატების პოლიტიკა კორეის მიმართ შემდეგს ძირითად მიზნებს ისახავს: 1) ხელი შეუწყოს უმოკლეს შესაძლო ვადაში თვითმმართველი სუვერენული კორეის შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნება უცხოეთის კონტროლისაგან და რომელსაც უფლება ექნება შევიდეს გაერთიანებული ერების წევრად; 2) უზრუნველჰყოს, რომ ამგვარად შექმნილი ეროვნული მთავრობა წარმომადგენლობითი იყოს კორეელი ხალხის თავისუფლად გამოხატული ნების მხრივ; და 3) დაეხმაროს კორეელებს სალი ეკონომიკის, როგორც მათი დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს, არსებითი საფუძვლის აშენებაში.

შეერთებულმა შტატებმა 1943 წლის 1 დეკემბრის კაიროს დეკლარაციით განაცხადეს, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ, რომ სათანადო დროში კორეა თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდეს. შეერთებული სამეფო და ჩინეთის რესპუბლიკა ამ დეკლარაციის მონაწილენი იყვნენ. კაიროს დეკლარაცია განსაკუთრებით დაადასტურა სამმა სახელმწიფომ პოტსდამის დეკლარაციით, რომელშიც განსაზღვრულ იქნა იაპონიის კაპიტულაციის პირობები. 1945 წლის 8 აგვისტოს იაპონიისათვის ომის გამოცხადების დროს სსრ კავშირმა განაცხადა, რომ შეუერთდა ამ დეკლარაციებს.

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს იაპონიის შეიარაღებული ძალების კაპიტულაცია კორეის რაიონებში შესაბამისად 38-ე პარალელის, ამ მიზნისათვის ნებისმიერ დასახული ხაზის, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. ეს სადემარკაციო ხაზი ფაქტიურად საზღვარი გახდა ოკუპაციის ზონებს შორის. შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციაზე 1945 წლის დეკემბერში განხილულ იქნა კორეის ორ ზონად გაყოფის სერიოზული შედეგები, ამასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება კორეის შესახებ, რაც გამოქვეყნდა კონფერენციის შესახებ კომუნიკეს III ნაწილში. ჩინეთის რესპუბლიკა შემდეგ შეუერთდა ამ შეთანხმებას.

1946 წლის 20 მარტს შეიკრიბა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისია, დანიშნული მოსკოვის შეთანხმების პირობების თანახმად და შეუდგა შეთანხმებაში აღნიშნული თავისი ამოცანის შესრულებას: ხელი შეეწყო კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის საქმისათვის, როგორც პირველი ღონისძიებისათვის, რომელიც უზრუნველჰყოფს დამოუკიდებელი და სუვერენული კორეის სახელმწიფოს შექმნას.

შეერთებული შტატების მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ერთობლივი კომისია იმოქმედებდა სწრაფად, რომ მალე შეიქმნებოდა კორეის დროებითი მთავრობა, რომ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს შორის სადემარკაციო ხაზის სავალალო შედეგები დაძლეული იქნებოდა და რომ შესაძლებელი გახდებოდა კორეის დაყენება დამოუკიდებელი და დემოკრატიული მმართველობის მიღწევის გზაზე. სამწუხაროდ, მოკლე ხნის შემდეგ ერთობლივი კომისიის მუშაობა ჩიხში მოექცა იმის გამო, რომ არ მოხერხდა მიღწეულიყო შეთანხმება სიტყვა „დემოკრატიულის" იმ აზრით განმარტებაზე როგორც იგი შეეხებოდა იმ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომლებიც მოხსენებულია მოსკოვის შეთანხმებაში და რომლებთანაც ერთობლივ კომისიას უნდა ეთათბირნა დროებითი მთავრობის შექმნის საქმეში ხელშეწყობის თავისი ამოცანის შესრულებისას. რადგან გამოირკვა, რომ მაშინ შეუძლებელი გახდა რაიმე შეთანხმების მიღწევა, 1946 წლის 8 მაისს ერთობლივმა კომისიამ მუშაობა შესწყვიტა მუშაობის განახლების ვადის დაუნიშნავად.

ამერიკის სარდალმა კორეაში რამდენჯერმე მიმართა საბჭოთა სარდალს, რომ კომისია კვლავ შეკრებილიყო და მუშაობა განეგრძო. მაგრამ საბჭოთა სარდალი დაჟინებით იცავდა ისეთ ფორმულას, რომელიც შეუძლებელს გახდიდა კონსულტაციას კორეელ ლიდერთა უმრავლესობასთან, როგორც კორეის დემოკრატიულ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, და სულ ამ ცოტა ხნის წინათ, 1947 წლის თებერვალში, კვლავ დაადასტურა ეს პოზიცია წერილში ამერიკის სარდლისადმი. ამიტომ შეუძლებელი აღმოჩნდა შეთანხმება კომისიის მოწვევის საფუძვლის შესახებ. ახლა, 1947 წლის აპრილში, თითქმის 16 თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც მოსკოვში მიღწეულ იქნა შეთანხმება კორეის შესახებ, ჯერ კიდევ არ შეიძლება აღინიშნოს რაიმე ნამდვილი პროგრესი ამ შეთანხმების განხორციელების მიმართულებით.

შეთანხმების მიზნისა და 1945 წლის დეკემბერში მოსკოვს გამოცემული დეკლარაციის შესასრულებლად შეერთებული შტატების მთავრობას სურს აღარ დააყოვნოს და განაგრძოს მუშაობა თავისუფალი და დამოუკიდებელი კორეის შესაქმნელად. ამ მიზნით გთხოვთ, რათა ჩვენი მთავრობები შეთანხმდნენ და დაავალონ ჩვენს სათანადო სარდლებს კორეაში, რაც შეიძლება მალე კვლავ მოიწვიონ ერთობლივი კომისია და მისცენ მითითება — დააჩქაროს თავისი მუშაობა მოსკოვის შეთანხმების პირობების თანახმად აზრის თავისუფლების დემოკრატიული უფლებისადმი პატივისცემის საფუძველზე. შემდეგ წინადადება შემომაქვს დაინიშნოს ურთიერთმისაღები თარიღი 1947 წლის ზაფხულის განმავლობაში ორივე მთავრობის მიერ იმ პროგრესის განსახილველად, რომელსაც ერთობლივი კომისია მიაღწევს ამ თარიღისათვის. მანამდე შეერთებული შტატები, რომლებსაც ახსოვთ მოსკოვის შეთანხმების მიხედვით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებანი, ვერ ხედავენ სხვა ალტერნატივას, გარდა იმისა, რომ აღარ დააყოვნონ და მიიღონ ისეთი ღონისძიებანი თავის ზონაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ შეთანხმების მიზნების განხორციელებას".

ამ წერილის პასუხად ვ. მ. მოლოტოვმა 19 აპრილს შემდეგი წერილი გაუგზავნა ბ-ნ მარშალს:

„კორეის საკითხზე თქვენი 8 აპრილის წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე 1945 წლის დეკემბერში მიღწეული იქნა შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს სამი სახელმწიფოს პოლიტიკას კორეის მიმართ. ამ შეთანხმებას საფუძვლად დაედო საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, რასაც დაეთანხმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც, რომელმაც შემდეგ უარი სთქვა თავის პირვანდელ განზრახვაზე — არ შეექმნა კორეაში უახლოესი წლების მანძილზე კორეის ეროვნული მთავრობა. მოსკოვის შეთანხმება პირველი რიგის ამოცანად ითვალისწინებდა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნას, რომელსაც შეეძლებოდა ყველა საჭირო ღონისძიება ეხმარა კორეის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის და კორეელი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

ამ წინადადებათა წამოყენებისას საბჭოთა მთავრობას მხედველობაში ჰქონდა, რომ კორეის ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელობით კორეის გაერთიანება უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია კორეის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, აღსადგენად და დემოკრატიულ საფუძვლებზე კორეის განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად. საბჭოთა მთავრობა წინანდებურადვე იცავს ამ თვალსაზრისს და იმის მომხრეა, რომ განუხრელად განხორციელდეს მოსკოვის შეთანხმება კორეის შესახებ, რადგან დარწმუნებულია, რომ ამ შეთანხმების შესრულების საფუძველზე კორეა წარმატებით განვითარდება დემოკრატიული გზით, გახდება დამოუკიდებელი და აყვავებული სახელმწიფო, თანასწორუფლებიან წევრად შევა გაერთიანებული ერების შემადგენლობაში.

მაგრამ კორეის შესახებ მოსკოვის შეთანხმებით დასახულ ღონისძიებათა პროგრამა დღემდე არ შესრულებულა. არ შექმნილა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა. მუშაობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიისა, რომელიც შესდგა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის ხელშესაწყობად, შესწყდა იმის გამო, რომ ამერიკის დელეგაციამ ამ კომისიაში დაიკავა პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება მოსკოვის შეთანხმებას კორეის შესახებ. ამასთანავე ამერიკის სარდლობა სამხრეთ კორეაში არ დათანხმდა საქმიანად განხილულიყო ჩრდილოეთ კორეაში მყოფი საბჭოთა სარდლობის წინადადებანი ორ ზონას შორის ეკონომიური გაცვლა-გამოცვლის საკითხებზე, რამაც შეუძლებელი გახადა შეთანხმების მიღწევა ამ საკითხზეც.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის მსვლელობაში, 1946 წლის მარტ-მაისში, საბჭოთა დელეგაცია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მიეღწია იმისათვის, რომ განხორციელებულიყო ზემოაღნიშნული შეთანხმება კორეის შესახებ და, პირველ რიგში, უზრუნველეყო კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნა და ერთი ხელმძღვანელობით კორეის გაერთიანება. მაგრამ საბჭოთა დელეგაცია ამ გზაზე არა მარტო სიძნელეებს, არამედ პირდაპირ წინააღმდეგობასაც წააწყდა ამერიკის დელეგაციის მხრივ. საბჭოთა დელეგაცია, ხელმძღვანელობდა რა კორეის შესახებ შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებს, რომ ერთობლივი კომისია თავის წინადადებათა შემუშავების დროს უნდა ეთათბიროს კორეის დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მტკიცედ მოითხოვდა, რომ ასეთი პარტიები და ორგანიზაციები ფართოდ მოეზიდათ კომისიასთან საკონსულტაციოდ. ამერიკის დელეგაცია კი არ ითვალისწინებდა სამხრეთ კორეის მთელი რიგი დიდი დემოკრატიული ორგანიზაციების მონაწილეობას და დაჟინებით მოითხოვდა საკონსულტაციოდ მოწვეული ყოფილიყო ისეთი ჯგუფები, რომლებიც გამოდიოდნენ მოსკოვის შეთანხმების წინააღმდეგ — რომლებთან თათბირიც, ბუნებრივია, ვერ შეუწყობდა ხელს ამ შეთანხმების შესრულებას. ამერიკის დელეგაციამ ერთობლივ კომისიასთან საკონსულტაციოდ თავის მიერ წარმოდგენილ პარტიათა და ორგანიზაციათა სიაში შეიტანა სამხრეთ კორეის 17 პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ჯგუფი, რომლებიც მოსკოვის შეთანხმების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მხოლოდ სამი დემოკრატიული პარტია, რომლებიც ამ შეთანხმებას მხარს უჭერდნენ. ამერიკის დელეგაცია კონსულტაციებში მონაწილეობას ამორებდა ისეთ დიდ დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორიცაა სრულიად კორეის შრომის კონფედერაცია, სრულიად კორეის გლეხთა კავშირი, კორეის ეროვნულ-რევოლუციური პარტია, სრულიად კორეის ახალგაზრდობის კავშირი და სხვ. საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლად არ მიაჩნდა დათანხმებოდა ამერიკის დელეგაციის ასეთ პოზიციას, მიუხედავად ამისა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ეპოვნა გზები შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მისაღებად. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და კომისიის მუშაობა, ამერიკის დელეგაციის წინადადებით, შესწყდა.

აშკარაა, რომ შექმნილი მდგომარეობა შეუწყნარებელია. ამის გამო, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, საჭირო გახდა კვლავ გვეხმარა ღონისძიებანი, რათა გამოგვენახა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

საბჭოთა სარდალი თავის მიმართვებში ამერიკის სარდლისადმი ცდილობდა ეპოვნა საფუძვლები ერთობლივი კომისიის მუშაობის განსაახლებლად. წერილების გაცვლის შედეგად მხარეთა თვალსაზრისი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ერთმანეთს, რაც ორივე სარდალმა აღნიშნა. მოსალოდნელი იყო, რომ შეთანხმება მალე მიღწეულ იქნებოდა და ერთობლივი კომისია უახლოეს ხანში მუშაობას განაახლებდა, მაგრამ ამერიკის სარდლის პასუხი საბჭოთა სარდლის ამა წლის 28 თებერვლის უკანასკნელ წერილზე დღემდე არ მოსულა და დასახული შეთანხმება მიღწეული არ იქნა. შეუთანხმებელმა მოქმედებამ სერიოზულად დააბრკოლა მთლიანად კორეის მიმართ მოსკოვის შეთანხმებაში დასახულ ღონისძიებათა პროგრამის დროული შესრულება.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, იაპონიის კაპიტულაციის მომენტიდან განვლილ პერიოდში აქ მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული დემოკრატიზაციის დარგში, აგრეთვე ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღორძინების მხრივ. გატარებულია ფართო დემოკრატიული რეფორმები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პოლიტიკურ თავისუფლებებს და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება; ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონი; თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და სახალხო კომიტეტის შექმნა ჩრდილოეთ კორეაში; მიწის რეფორმა, რის შედეგადაც 725 ათასმა უმიწაწყლო და მცირემიწიანმა გლეხთა მეურნეობამ უსასყიდლოდ მიიღო ერთ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც წინათ ეკუთვნოდა იაპონელ კოლონიზატორებს და მათს ხელშემწყობთ კორეაში; იაპონიის ყოფილი მრეწველობის ნაციონალიზაცია; 8 საათის სამუშაო დღის, შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის კანონი; სახალხო განათლების რეფორმა, რის შედეგადაც სკოლებში აღდგენილია კორეული ენა, გაფართოებულია სასკოლო ქსელი, იმატა მოსწავლეთა რაოდენობამ და სხვ. მაგრამ ასეთი ფართო დემოკრატიული რეფორმები გატარებულია მხოლოდ ჩრდილოეთ კორეაში, სადაც ცხოვრობს კორეის მოსახლეობის ორი მეხუთედი.

საბჭოთა მთავრობა თავის პოლიტიკაში კორეის მიმართ სასტიკად იცავს მოსკოვის შეთანხმებით დასახულ პროგრამას და პირველი რიგის ამოცანებად მიაჩნია შემდეგი:

1. შეიქმნას კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა კორეის დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობის საფუძველზე, რათა დაჩქარდეს კორეის, როგორც თავისთავადი და უცხოეთის ჩარევისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს, პოლიტიკური და ეკონომიური გაერთიანება, რაც მოსპობს კორეის ორ ზონად გაყოფას.

2. შეიქმნას მთელ კორეაში ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოები საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე თავისუფალი არჩევნების გზით.

3. დახმარება გაეწიოს კორეელ ხალხს კორეის, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს, აღორძინებაში და ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის განვითარებაში.

კორეის, როგორც ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს რაც შეიძლება მალე აღდგენისა და იმ სიძნელეთა ლიკვიდაციისადმი საბჭოთა მთავრობის მტკიცე მისწრაფების შესაბამისად, რომლებიც გამოწვეულია იმით, რომ კორეა დღემდე არ არის გაერთიანებული და არა ჰყავს თავისი ეროვნული მთავრობა, წინადადება შემომაქვს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივმა კომისიამ მუშაობა განაახლოს ამა წლის 20 მაისს ქალაქ სეულში, კორეის შესახებ მოსკოვის შეთანხმების ზუსტად შესრულების საფუძველზე და რომ კომისიამ 1947 წლის ივლის-აგვისტოში ორ მთავრობას განსახილველად წარუდგინოს კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხზე რეკომენდაციათა შემუშავების შესახებ მუშაობის შედეგები".

ბ-ნ მარშალმა და ვ. მ. მოლოტოვმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ბევინს და ჩინეთის ელჩს სსრ კავშირში ფუ-ბინ-ჩანს თავიანთი წერილების ასლი გაუგზავნეს.

(საქდესი).

კოლაროვის სიტყვა ბულგარეთის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ

სოფია, 21 აპრილი. (საქდესი). რესპუბლიკის დროებითმა პრეზიდენტმა ვასილ კოლაროვმა გუშინ პლოვდივში წარმოსთქვა ბულგარეთის ორწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმისადმი მიძღვნილი სიტყვა. სამეურნეო ფრონტი, სთქვა მან, მუდამ დიდმნიშვნელოვანი ფრონტია, მაგრამ არის ხოლმე მომენტები, როდესაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ასეთ მომენტს განიცდის ჩვენი ქვეყანა ახლა, როცა მან უნდა განახორციელოს ორწლიანი ეკონომიური გეგმა. ჩვენ არა მარტო უნდა აღვადგინოთ ის, რაც ომით არის დანგრეული, არამედ დავძლიოთ ბულგარეთის საერთო ჩამორჩენილობა, ბოლო მოვუღოთ ჩვენს სიღარიბეს.

ორწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის არსებითად საჭიროა ორი პირობა. პირველი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ მიზნისათვის გავაერთიანოთ ხალხის მთელი ჯანსაღი შემოქმედებითი ძალები და მეორე — გავიღოთ ერთგვარი მატერიალური მსხვერპლი, რაც გარდუვალია მომჭირნეობის რეჟიმისა და სახალხო სახსრების მობილიზაციის დროს.

ორწლიანი გეგმის რეალიზაციაში მონაწილეობენ კერძო, კოოპერაციული და სახელმწიფო სექტორები.

კოლაროვმა ხაზი გაუსვა, რომ ორწლიანი გეგმის წარმატებითი რეალიზაციისათვის საჭიროა სპეციალისტთა კადრების სწრაფად მომზადება.

კოლაროვი შეეხო საგარეო ვაჭრობის საკითხებს და განაცხადა, რომ სამამულო ფრონტის მთავრობა ცდილობს განავითაროს ვაჭრობა ყველა ქვეყანასთან. მაგრამ, სთქვა მან, ჩვენი საგარეო ვაჭრობა უნდა შეუფარდდეს ეროვნული დამოუკიდებლობის ჩვენს პოლიტიკას. ჩვენ ვიცით, რომ შეგვეძლო მიგვეღო სესხი, მაგალითად, დოლარებით, მაგრამ იგი ეროვნული დამოუკიდებლობით უნდა გადაგვეხადა. ჩვენ გვაქვს აგრეთვე წარსულში ეგვიპტის, ხოლო ახლა საბერძნეთის მაგალითები. მაგრამ ჩვენ ვერ დავთანხმდებით ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის გაყიდვას. ჩვენ თვითონ შეგვიძლია გამოვიდეთ მძიმე მდგომარეობიდან. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კრედიტები ჩვენდამი კეთილსასურველად განწყობილი სლავური ქვეყნებიდან. უცხოეთის კაპიტალის აპოლოგეტები ლაპარაკობენ მის უდიდეს მნიშვნელობაზე და ამბობენ, უამისოდ შეუძლებელია ჩვენი მეურნეობის აღდგენაო. მაგრამ ცნობილია, რომ უცხოეთის კაპიტალის პროცენტი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებაში დღემდე უმნიშვნელო იყო. პირიქით, ბულგარეთის უდიდესი კაპიტალები და სახალხო დანაზოგი გატანილ იქნა ჩვენი ქვეყნიდან როგორც უცხოეთის კაპიტალის ზემოგება. ჩვენი მეურნეობის განვითარების საშუალებათა დიდმნიშვნელოვან წყაროს სახალხო დანაზოგი წარმოადგენს. ამოცანა ის არის, რომ გავადიდოთ ეს დანაზოგი და მოვაწყოთ მისი სწორი გამოყენება მთელ სახალხო მშენებლობაში. ჩვენ მიერ გატარებული ფულის რეფორმა სწორედ ამ მიზანს ისახავს.

დასასრულ კოლაროვი დაწვრილებით შეჩერდა ორწლიანი ეკონომიური გეგმის შესრულებაში საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანებზე.

იუგოსლავიაში დაიწყო მძიმე მანქანათმშენებლობის პირველი ქარხნის მშენებლობა

ბელგრადი, 21 აპრილი. (საქდესი). გუშინ ბელგრადთან, სოფელ ჟელეზნიკის ახლოს, საძირკველი ჩაუყარეს მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანას, რომელიც პირველია იუგოსლავიაში. მომავალ ქარხანას, რომლის მშენებლობის დამთავრება 1948 წლისათვის არის ნავარაუდევი, დაახლოებით 20 ჰექტარი ტერიტორია უჭირავს. „იუგოსლავიის სახალხო ახალგაზრდობის" ორგანიზაციამ ვალდებულება იკისრა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ქარხნის მშენებლობაში. სამშენებლო სამუშაოთა დაწყებისადმი მიძღვნილ ზეიმს დაესწრნენ სახალხო სკუპშჩინის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მოშე პიადე, მრეწველობის მინისტრი კიდრიჩი, შრომის მინისტრი კრსტულოვიჩი და სხვა ოფიციალური პირები.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

21 აპრილის დილის სხდომა

ტრიესტის ფინანსური მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენების განხილვა

მინისტრებმა განიხილეს ტრიესტის ფინანსური მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენება. ეს კომისია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ დანიშნა 1946 წლის დეკემბერში. მას დაევალა შეესწავლა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის ფინანსური მდგომარეობა და იუგოსლავიისა და იტალიის მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ მინისტრების საბჭოსათვის წარედგინა თავისი რეკომენდაციები. კომისიის მიერ მომზადებული მოხსენება წარმოადგენს ვრცელ დოკუმენტს, რომელშიც გაშუქებულია ბიუჯეტის, ნავარაუდევი სახელმწიფო შემოსავლის, საგადამხდელო ბალანსის, ფულის ტირაჟისა და ბანკების, უცხოეთის ვალუტისა და სხვა საკითხები. ტრიესტში შექმნილი პირობების დახასიათებასთან ერთად მოხსენების თვითეული ნაწილი გარკვეულ რეკომენდაციებს შეიცავს.

იუგოსლავიისა და იტალიის მთავრობებმა მინისტრების საბჭოს წარუდგინეს თავიანთი მემორანდუმები, რომლებიც მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს შეიცავენ მოხსენების გამო. რამდენიმე დღის წინათ, 16 აპრილს, ამ საკითხზე ბრიტანეთის დელეგაციამ შეიტანა წინადადებათა პროექტი.

ე. ბევინმა, რომელმაც აზრი გამოსთქვა კომისიის მოხსენების გამო, განაცხადა, რომ ბრიტანეთის დელეგაცია საერთოდ ეთანხმება კომისიის დასკვნებს. მან აღნიშნა, რომ კომისია წინადადებას აძლევს მიმწოდებელ სახელმწიფოებს განსაკუთრებული შეღავათები და შეღავათიანი ფასები მიანიჭონ ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიას სურსათის, ქვანახშირის, ნავთის, ფოლადის, სპილენძის, რკინის, სამანქანო მოწყობილობის, გემებისა და სხვა საქონლის შესასყიდად. ბევინმა წინადადება მისცა მინისტრების საბჭოს საჭირო ღონისძიებანი იხმაროს, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ თავისუფალმა ტერიტორიამ მიიღოს ასეთი მიწოდებანი.

ე. ბევინმა მოიხსენია იუგოსლავიის მთავრობის წინადადება — მომარაგებულ იქნას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია მისთვის საჭირო სურსათითა და ნედლეულის მნიშვნელოვანი რაოდენობით, რათა თავისუფალმა ტერიტორიამ თავის მხრივ მომარაგოს იუგოსლავია საკუთარი სამრეწველო წარმოების პროდუქციით კომპენსაციის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. ბევინმა საეჭვოდ მიიჩნია ასეთი წინადადების მიზანშეწონილობა იუგოსლავიაში ამჟამად არსებული ეკონომიური სიძნელეების გამო. ამასთანავე ბევინმა მხარი დაუჭირა იმას, რომ უშიშროების საბჭომ, თუ იგი ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორისაგან სათანადო თხოვნას მიიღებს, მისცეს თავისუფალ ტერიტორიას საჭირო ვალუტა სურსათისა და ნედლეულის შესასყიდად.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა ყურადღებით მოპყრობა დოკუმენტებისადმი, რომლებიც მინისტრების საბჭომ მიიღო ტრიესტის ფინანსური მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენების გამო, და, პირველ რიგში, იუგოსლავიისა და იტალიის მთავრობების მემორანდუმებისადმი, რომლებიც მთელ რიგ არსებითს კრიტიკულ შენიშვნებს შეიცავენ. საჭიროა გამოჩენილ იქნას ერთგვარი სიფრთხილე ამ საკითხში, რომელიც შეეხება თავისი მასშტაბით არც ძალიან დიდს, მაგრამ აღძრულ ინტერესთა კომპლექსის მიხედვით საკმაოდ რთულ ტერიტორიას.

საბჭოთა მთავრობა იმ თვალსაზრისს ადგას, რომ მთავრობებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შესახებ, არ უნდა მოჰკიდონ ხელი ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომელთა გადაწყვეტა შეუძლია და კიდევაც უნდა გადასწყვიტოს თვითონ თავისუფალმა ტერიტორიამ, სახელდობრ: უშიშროების საბჭოს მიერ დანიშნულმა თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორმა და დროებითმა მმართველობის საბჭომ, ხოლო შემდეგ თავისუფალი ტერიტორიის მუდმივმა მმართველობის საბჭომ. მეორე მხრივ, საჭიროა წინასწარ გულმოდგინედ შემოწმდეს მიღებული გადაწყვეტილებანი ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტისადმი მათი შესაბამისობის თვალსაზრისით, რათა თავიდან აცილებულ იქნას საყვედური ამ სტატუტის დაუცველობის გამო. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია წინადადებას აძლევს სხვა დელეგაციებს გამოჰყონ წარმომადგენლები უახლოესი ორი-სამი დღის განმავლობაში იმ საკითხების შესასწავლად, რომლებიც დაყენებულია იუგოსლავიისა და იტალიის მემორანდუმებში, აგრეთვე ბრიტანეთის მთავრობის წინადადებაში კომისიის მოხსენების გამო.

ჯ. მარშალმა წინადადება შეიტანა ტრიესტის ფინანსური მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენება და იუგოსლავიისა და იტალიის მთავრობების მემორანდუმები გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიას გაუწიოს პირდაპირი ფინანსური დახმარება, რომელიც მას ესაჭიროება. ჯ. მარშალმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მზადაა მისცეს ტრიესტს საქონელი უფასოდ იმ პირობით, თუ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი მოიწონებს კანონმდებლობას, რომელსაც იგი ამჟამად იხილავს.

ჯ. მარშალი შეეხო საბჭოთა დელეგაციის წინადადებას ტრიესტის ფინანსური მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტების შესწავლის შესახებ და წინადადება წამოაყენა ამ დოკუმენტების შესწავლა მიენდოს ექსპერტების კომისიას, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ მათი რეკომენდაციები დაემატოს კომისიის თავდაპირველ მოხსენებას მინისტრების საბჭოს ჯერ კიდევ მოსკოვის სესიის განმავლობაში.

ჟ. ბიდომ მხარი დაუჭირა უკანასკნელ წინადადებას. მან აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ კომისიის მოხსენება ექსპერტების რეკომენდაციებით რაც შეიძლება მალე წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას არ მიაჩნია შესაძლებლად შეზღუდოს მიღებული დოკუმენტების შესწავლა ექსპერტთა მუშაობით. ეს დოკუმენტები არსებითად უნდა განიხილონ მინისტრების მოადგილეებმა, რათა მათ საჭირო მითითებანი მისცენ ექსპერტებს. ტრიესტის საკითხის განხილვა ძალიან დიდხანს გაგრძელდა. მაგრამ ამასთან იხილავდნენ უმთავრესად საკითხის პოლიტიკურ მხარეს და თითქმის სრულიად არ განუხილავთ მისი ფინანსურ-ეკონომიური მხარე.

ვ. მ. მოლოტოვმა მოაგონა სხდომას, რომ პირველად როდია შემოტანილი წინადადებანი ტრიესტის ფინანსურ-ეკონომიური პრობლემის გადაწყვეტისა რაღაც განსაკუთრებით არაჩვეულებრივი წესით. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიის დროს თითქმის მისი მუშაობის დამთავრების წინადღით შემოტანილ იქნა წინადადება ტრიესტის ფინანსურ-ეკონომიური პრობლემების დაუყოვნებლივი გადაწყვეტის შესახებ. მაშინ საბჭოთა და საფრანგეთის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ არ შეუძლიათ იკისრონ პასუხისმგებლობა ასეთი ექსტრაორდინარული წესით ამ პრობლემათა გადაჭრისათვის.

ვ. მ. მოლოტოვმა იმ მოტივების განსამარტებლად, რომლებიც საბჭოთა დელეგაციას არ აძლევენ განსახილველი პრობლემების გამო ნაჩქარევ გადაწყვეტილებათა მიღებას, სთქვა:

— ჩვენ გვეუბნებიან გადაწყვიტოთ, ესაჭიროება თუ არა ტრიესტს გარედან დახმარება. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ამით ჩვენ უნდა ვთქვათ, სასურველად მიგვაჩნია თუ არა გარედან ჩარევა ტრიესტის საქმეებში. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ტრიესტის საქმეებში ყოველგვარი გარეშე ჩარევა აღიარებულ უნდა იქნას არასასურველად, როგორც საშიში რამ მისი დამოუკიდებლობისათვის. ამ მხრივ ჩვენ იმაზე შორს ვერ წავალთ, რასაც ითვალისწინებს ყველა ჩვენგანის მიერ მოწონებული სტატუტი ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიისა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა საფუძველი ვშიშობდეთ, ხომ არ გადაიქცევა ეგრეთწოდებული „გარედან დახმარება", რომელსაც ტრიესტს ხალისით სთავაზობს ზოგიერთი მდიდარი ქვეყანა, სწორედ იმ გარეშე ჩარევად ტრიესტის საქმეებში, რაც ჩვენ არ უნდა დავუშვათ.

აზრთა გაზიარების შემდეგ მინისტრებმა თავიანთ მოადგილეებს დაავალეს 23 აპრილისათვის განიხილონ დოკუმენტები, რომლებიც შემოვიდა ტრიესტის ფინანსური მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით. (საქდესი).

21 აპრილის საღამოს სხდომა

ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის განხილვა

საბჭო განაგრძობდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ ხელშეკრულების პროექტის განხილვას.

მინისტრებმა მოისმინეს ჟ. პარისის მოხსენება ხელშეკრულების პროექტის მთელი რიგი შეუთანხმებელი მუხლების განსახილველად თავიანთი მოადგილეების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. მოადგილეებმა შეიმუშავეს შეთანხმებული ტექსტები შემდეგი მუხლებისა: მე-11—სამხედრო დამნაშავეთა შესახებ, 16-ბის—არაგერმანული ეროვნების პირთა ავსტრიიდან ევაკუაციის შესახებ, 33-ე—ავსტრიიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანის შესახებ, 45-ე—გაერთიანებული ერების ტერიტორიაზე არსებული ავსტრიის საკუთრების შესახებ. ზოგიერთ სხვა მუხლში შეთანხმებულია უთანხმოების გამომწვევი ცალკეული პარაგრაფები. შეუთანხმებელი დარჩა მუხლები, რომლებიც ეხებიან ავსტრიის საზღვრებს, ავსტრიიდან ადგილგადანაცვლებულ პირთა ევაკუაციას, ავსტრიის მიერ განსახორციელებელ რესტიტუციებს და სხვ.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ მე-5 მუხლის გამო—ავსტრიის საზღვრების შესახებ—საბჭოთა დელეგაციამ ითხოვა მოხსენებაში ან სათანადო ოქმში შეტანილი ყოფილიყო ფორმულირება, რომელიც ახასიათებს საბჭოთა დელეგაციის პოზიციას ამ საკითხზე. ამ ფორმულირებაში ნათქვამია: „საბჭოთა დელეგაციას დასაბუთებულად მიაჩნია იუგოსლავიის მთავრობის წინადადებანი სლოვენიის კარინტიის იუგოსლავიის შემადგენლობაში შემავალ სლოვენიასთან შეერთების შესახებ, აგრეთვე შტირიის საზღვრისპირა სლოვენური რაიონების შესახებ და ბურგენლანდის ხორვატებისათვის სპეციალური სტატუტის მინიჭების შესახებ, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ ეროვნულ უფლებებს, როგორც ეს ჩამოყალიბებული იყო იუგოსლავიის დელეგაციის მემორანდუმში, რომელიც წარედგინა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირს ლონდონში 1947 წლის 22 იანვარს. საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ წინადადებებს".

მინისტრებმა დაამტკიცეს მათი მოადგილეების მიერ შეთანხმებული მუხლები.

მე-16 მუხლის—ავსტრიიდან ადგილგადანაცვლებულ პირთა ევაკუაციის შესახებ—განხილვისას **ვ. მ. მოლოტოვმა** განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია არ მოითხოვს დაჟინებით, რომ ხელშეკრულების ტექსტში დადგენილ იქნას ევაკუაციის გარკვეული ვადა, რა წინადადებაც მან ადრე წამოაყენა. საბჭოთა დელეგაცია მზად არის დათანხმდეს, რომ ავსტრიიდან ადგილგადანაცვლებულ პირთა ევაკუაციის ვადა დაადგინოს მოკავშირეთა კომისიამ ავსტრიაში.

ხელშეკრულების პროექტის შესაბამისი მუხლი დაუბრუნდა მინისტრების მოადგილეებს დამატებითი განხილვისათვის.

36-ე მუხლზე, რომელიც შეეხება ავსტრიის მიერ განსახორციელებელ რესტიტუციებს, საბჭოთა დელეგაციამ მოხსნა მის მიერ შეტანილი წინადადება. მუხლი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა მინისტრების მოადგილეებს.

ხელშეკრულების პროექტის ახალი წაკითხვის შედეგად რჩება უთანხმოება, რომელიც შეეხება მე-5 მუხლს—ავსტრიის საზღვრების შესახებ, 34-ე მუხლს ავსტრიისაგან კუთვნილი რეპარაციების შესახებ და 35-ე მუხლს—ავსტრიაში გერმანიის აქტივების შესახებ და ზოგიერთ სხვებს.

* * *

ამის შემდეგ შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ვიწრო შემადგენლობის სხდომა. (საქდესი).

„რეინოლდს ნიუსი" ინგლის-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 21 აპრილი. (საქდესი). გაზეთ „რეინოლდს ნიუსის" მიმომხილველი დევიდ რეიმონდი ეხება ინგლისის საგარეო პოლიტიკას, ხაზგასმით აღნიშნავს მის დამოკიდებულებას ამერიკის პოლიტიკაზე და სწერს, რომ ეს შედეგია შეერთებულ შტატებისაგან ინგლისის ეკონომიური დამოკიდებულებისა. „არის ამის ბევრი ნიშანი, — სწერს რეიმონდი, — რომ თვით მთავრობის რიგებშიც არიან ზოგიერთი მოუსვენარი პირები, რომლებიც აღტაცებული არ არიან ლონდონისა და ვაშინგტონის პოლიტიკის აბსოლუტური იდენტურობით. მაგრამ ბევრ პრობლემაში, მათ შორის გერმანიის პრობლემაშიც, დოლარის მოსაზრებანი გადამწყვეტია".

საზეიმო სხდომა ვარშავაში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების წლისთავის გამო

ვარშავა, 21 აპრილი. (საკდესი). დღეს ვარშავაში შესდგა საზეიმო კრება, მიძღვნილი პოლონეთისა და სსრ კავშირის მეგობრობის ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავისადმი.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიერ გამართულ კრებაზე მოვიდნენ პრემიერ-მინისტრი ცირანკევიჩი, მარშალი (სეიმის თავმჯდომარე) კოვალსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი მოძელევსკი, ეროვნული თავდაცვის ვიცე-მინისტრი გენერალი სპიხალსკი და მთავრობის სხვა წევრები, პოლონეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კორჩიცი, გენერალიტეტი, ვარშავის პრეზიდენტი ტოლვინსკი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ლებედევი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები. კრებას დაესწრო სულ 2.000-მდე კაცი.

კრებამ მოისმინა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მინისტრ სვენტკოვსკის მოხსენება, რომელშიც მან განსაკუთრებით აღნიშნა ხელშეკრულების უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა დემოკრატიული პოლონეთის განვითარებისა, აგრეთვე ევროპაში მშვიდობის სტაბილიზაციისათვის.

საზეიმო კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს, ვ. მ. მოლოტოვს და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბერუტს.

პოლონეთის ოფიციოზი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების მეორე წლისთავის შესახებ

ვარშავა, 21 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის ოფიციოზი „რეჩ პოსპოლიტა ი ძენიკ გოსპოდარსკი“ მოწინავე სტატიაში სათაურით „ხელშეკრულებამ გაუძლო გამოცდას“, განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს მეგობრობის, ერთიერთ დახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მეორე წლისთავს.

გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მტკიცე, თანმიმდევრულ ხაზს ხელშეკრულებათა შესრულებაში და სწერს: „პოლონეთის დასავლეთი მხარეების გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებით და პოლონეთისათვის მათი გადაცემით საბჭოთა კავშირმა ფაქტიურად შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც განმტკიცებულ იქნა პოტსდამის კონფერენციაზე. საბჭოთა კავშირის მთელი შემდგომი მოქმედების ხაზი პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების განხორციელების მოქმედების ხაზი იყო“.

„ჩვენ ვიცით, — სწერს დასასრულ გაზეთი,— რომ ის ხელშეკრულებანი, რომლებმაც გაუძლეს ძირითადი საკითხების გამოცდას, მტკიცე და რეალურ ხელშეკრულებებს წარმოადგენენ“.

„დასავლეთი მხარეების კვირეული“ პოლონეთში

ვარშავა, 21 აპრილი. (საკდესი). დამთავრდა „დასავლეთი მხარეების კვირეული“. ამ ხნის განმავლობაში დასავლეთი მხარეების ყველა უდიდეს ქალაქში შესდგა მიტინგები, კრებები და დემონსტრაციები, რომლებზეც ათიათასობით ადამიანი იყრიდა თავს. ზეიმის დამამთავრებელ აქტს წარმოადგენდნენ უდიდესი დემონსტრაციები ვროცლავში, სადაც დაესწრნენ პრემიერ-მინისტრი ცირანკევიჩი და ეროვნული თავდაცვის მინისტრი მარშალი როლია-ჟიმერსკი; ოპოლეში, სადაც გამოვიდა ეროვნული თავდაცვის ვიცე-მინისტრი გენერალი სპიხალსკი, და შტეტინში, სადაც სიტყვა წარმოსთქვა ვიცე-პრემიერმა და დასავლეთი მხარეების მინისტრმა გომულკამ.

ვროცლავში გამოსულმა მარშალმა როლია-ჟიმერსკიმ ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის უდავო უფლებანი დასავლეთ მხარეებზე და მოიხსენია „კონკრეტული შედეგები იმ უდიდესი შრომისა, რაც გაწეულია პოლონეთის აღდგენისა და კერძოდ მისი დასავლეთი მხარეების ათვისების საქმეში“.

ვიცე-პრემიერმა და დასავლეთი მხარეების მინისტრმა გომულკამ შტეტინში გამართულ მასობრივ მიტინგზე სთქვა, რომ „ყოველგვარ ცდას — საეჭვოდ გახადონ პოლონეთის დასავლეთი საზღვრები პოლონეთის მთავრობა და მთელი პოლონელი ხალხი უპასუხებენ კიდევ უფრო თავდადებული ღონისძიებებითა და შრომით დასავლეთი მხარეების უსწრაფესად ათვისების საქმეში“.

შტეტინის საზოგადოებრიობამ მიღებულ რეზოლუციაში განაცხადა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს პოლონეთის მთავრობის მტკიცე და ურყევ პოზიციას სახელმწიფოს დასავლეთი საზღვრების საკითხში, რომლებიც მოპოვებულია პოლონელ ჯარისკაცთა სისხლით და მილიონობით პოლონელი მოქალაქის შრომით.

კრება მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის მთავრობას მის მიერ დაკავებული პოზიციისათვის, რომელიც ემყარება პოლონელი ხალხის ისტორიულ საჭიროებასა და მისწრაფებას პოლონეთის დასავლეთი საზღვრების საკითხში.

ბრძოლები საბერძნეთში

ათენი, 20 აპრილი. (საკდესი). უკანასკნელ დღეებში აღინიშნება იმ კომუნიკაციების წინააღმდეგ მოქმედი პარტიზანული რაზმების აქტივიზაცია, რომლებიც აკავშირებენ ლარისას ტრიკალასთან, ვოლოსს კარდიცასთან და ლამიას კარპენისიონთან. ამ კომუნიკაციებით სწარმოებს სამხრეთ პინდში მოქმედი ჯარების მომარაგება. ქალაქ სოფადის დაკავების შემდეგ გუშინ პარტიზანებმა ვოლოს-ტრიკალის რკინიგზაზე დაიკავეს რკინიგზის კვანძი ლიანოკლადი. სოფელ პელასგიასთან ლამიის ახლოს პარტიზანებმა ააფეთქეს ხიდი და ხელთ იგდეს შტაბის მანქანა და სატვირთო მანქანა სამხარ მასალანად.

არავითარი ცნობა არ არის მდგომარეობაზე სამხრეთ-დასავლეთ თესალიაში, სადაც, ოფიციალური ცნობებით, საბერძნეთის მთავრობის 15 ათასი ჯარისკაცი ჯერ კიდევ 10 დღის წინათ გარს შემოერტყა 2 ათასამდე პარტიზანს.

პრესა იუწყება, რომ დიდი შეტაკებებია კისოვოსის მთიან რაიონში, სადაც მთავრობის მხრივ მოქმედებენ ავიაცია, არტილერია და ტანკები, აგრეთვე გრივენის რაიონში. აგრეთვე იუწყებიან, რომ პარტიზანებმა მოახდინეს რეიდები ქალაქების იანიცისა და სიაპისტის წინააღმდეგ.

ინდონეზიური პრესა ჰოლანდია-ინდონეზიის შეთანხმების შესახებ

შანხაი, 21 აპრილი. (საკდესი). რადიოსადგური „თავისუფალი ინდონეზიის ხმა“ იუწყება, რომ ინდონეზიური პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარს ჰოლანდია-ინდონეზიის შეთანხმებას. ერთ-ერთი გაზეთი აცხადებს, რომ შეთანხმების დადებიდან ერთი თვეც არ გასულა და სიძნელეები განუხრელად მატულობს. ეს სიძნელეები იმ ფაქტით აიხსნება, რომ ჰოლანდიელები საქმით არ ახორციელებენ თანამშრომლობას, რომელზეც დამყარებულია შეთანხმება. ეკონომიური ბლოკადის შენარჩუნებით ჰოლანდიელები ცხადჰყოფენ, რომ არა სურთ განახორციელონ დაპირებული თანამშრომლობა. ამჟამად ჰოლანდიელები იყენებენ ყოველგვარ გზასა და საშუალებას, რათა ჩაშალონ ინდონეზიის რესპუბლიკის ღონისძიებანი. ეს გვაიძულებს დავასკვნათ, რომ ჰოლანდიელთა მიერ ინდონეზიის მთავრობის დე-ფაქტო ცნობა მხოლოდ მანევრი იყო.

ყოველდღიური გაზეთი „მერდეკა“, რომელიც ცენტრალურ იავაზე გამოდის, სარედაქციო სტატიაში აცხადებს, რომ, მიუხედავად შეთანხმების არსებობისა, ჰოლანდიელები დღემდე ახორციელებენ თავიანთ ძველ იმპერიალისტურ პოლიტიკას. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰოლანდიის რეაქციული ჯგუფები შეთანხმების ხელმოწერას ისე უყურებენ, როგორც ერთგვარ დანაკლისს ჰოლანდიისათვის.

ამერიკის საზღვაო ქვეითმა ჯარმა ცანგუს ნავსადგურში არ შეუშვა ჩინელი კორესპონდენტები

შანხაი, 21 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დაგუნბაო“ იუწყება, გუშინ 80-ზე მეტ ჩინელ (ბეიპინელ და ტიანძინელ) კორესპონდენტს სურდა დაეთვალიერებინა ახალი ნავსადგური ტანგუში, მაგრამ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ხიშტების მუქარით ისინი იძულებული გახდნენ თავის მატარებელში დაბრუნებულიყვნენ. ამასთან დაკავშირებით ბეიპინელ და ტიანძინელ კორესპონდენტთა ასოციაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას უცხოელთა ჩარევა ჩინელთა მიმოსვლაში საკუთარ ტერიტორიაზე.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ ერთი კვირის წინათ ამერიკის სამხედრო პოლიციამ ხელი შეუშალა ჩინელ კორესპონდენტებს ვაგზლის დათვალიერებაში.

სამხრეთ კორეაში დემოკრატ მოღვაწეებს აპატიმრებენ

ფხენიანი, 20 აპრილი. (საკდესი). სეულის გაზეთების ცნობით, სამხრეთ კორეაში მასობრივად აპატიმრებენ დემოკრატიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს. ქალაქ სეულის პოლიციის უფროსმა ბრძანება გასცა დემოკრატიული სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობის 600 ათასი წევრისაგან შემდგარი სრულიად კორეის შრომის კონფედერაციის, სამი მილიონი წევრისაგან შემდგარი სრულიად კორეის გლეხთა კავშირის, შრომის პარტიის, ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელების დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულ დემოკრატ მოღვაწეთა რაოდენობა 2.076-ს აღწევს. დაპატიმრებულთა შორის არიან დემოკრატიული სახალხო ფრონტის გენერალური მდივანი პაკ მუნ გიუ, ეროვნულ—რევოლუციური პარტიის ლიდერი კიმ ვონ ბონი და სხვები.

ფინეთში მთავრობის კრიზისის გამო

ჰელსინკი, 21 აპრილი. (საკდესი). ფინეთში მთავრობის კრიზისი გრძელდება.

დღეს შესდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმასკომის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა მთავრობის კრიზისის საკითხი. მაგრამ როგორც ფინეთის რადიო გადმოგვცემს სხდომაზე არ მიუღიათ რაიმე გადაწყვეტილება, ჩატარდა მხოლოდ საკითხის განხილვა. სათანადო წრეები კატეგორიულად უარჰყოფენ ცნობას, თითქოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პრემიერ-მინისტრის პოსტის კანდიდატურის საკითხის განხილვისას ამ პოსტზე თავისი წარმომადგენელი წამოაყენა.

საოკუპაციო ხელისუფალნი აბრკოლებენ პირველი მაისის დღესასწაულობას ტრიესტში

ბელგრადი, 21 აპრილი. (საკდესი). ტანიუგის კორესპონდენტის ცნობით, ტრიესტის საოკუპაციო სამხედრო მმართველობამ მასობრივ ანტიფაშისტურ ორგანიზაციებს საპირველმაისო დემონსტრაციების ჩატარების ნება არ მისცა. ამასთან დაკავშირებით სლოვენია-იტალიის ანტიფაშისტური კავშირის საქალაქო კომიტეტმა საოკუპაციო სამხედრო მმართველობას გაუგზავნა წერილობითი პროტესტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ტრიესტის მოქალაქეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს იდღესასწაულონ პირველი მაისი როგორც ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული. ამიტომ, ნათქვამია პროტესტში, სლოვენია-იტალიის ანტიფაშისტური კავშირის საქალაქო კომიტეტი მოითხოვს, რომ საოკუპაციო ხელისუფლებმა რაც შეიძლება მალე მისცენ მასობრივ ანტიფაშისტურ ორგანიზაციებს საპირველმაისო დემონსტრაციებისა და ჩირაღდნებით სვლის ჩატარების ნებართვა.

გავაუმჯობესოთ კოლმეურნეთა სამედიცინო მომსახურება

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და სამედიცინო დარგის მუშაკების ამოცანაა გადაჭრით გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების—თესვის, ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების პერიოდში სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. ამ მხრივ ჩვენს მუშაკებს დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვილი. 1946 წელს საუკეთესოდ მოაწყეს კოლმეურნეთა სამედიცინო დახმარების საქმე წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის (ექიმი რობიტაშვილი), სამტრედიის რაიონის—სალხინოს (ექიმი ჯიქია), ჭიათურის რაიონის ქვაციხის (ექიმი ბრეგვაძე), ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის (ექიმი გურგენიძე), კასპის რაიონის მეტეხის (ექიმი ხურციძე) სასოფლო-საექიმო უბნებმა. წელს მოწინავე საექიმო უბნების რიცხვი უნდა გაიზარდოს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაუგზავნა ადგილებს მინდვრად მომუშავეთა სამედიცინო მომსახურების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით სოფლად მომუშავე სამედიცინო მუშაკებმა სამკურნალო პროფილაქტიკური ქსელის მუშაობა უნდა შეუფარდონ მინდვრად მუშაობის პირობებს, რომ შესაძლებელი გახდეს კოლმეურნეთათვის საექიმო დახმარების გაწევა ადრე დილიდან გვიან საღამომდე.

მინდვრად უნდა მოეწყოს პირველი სამედიცინო დახმარების პუნქტები, განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც სოფლებს დაშორებულია 8 კილომეტრზე მეტი მანძილით და სადაც მოწყობილია საველე ბანაკები. საჭიროა მოეწყოს მოძრავი საექიმო და საფერშლო პუნქტები და ქალაქებიდან და რაიონის ცენტრიდან სოფლად საექიმო ბრიგადების გასვლა. მიმდინარე წლის გეგმით სოფლად უნდა გაიგზავნოს 792 საექიმო ბრიგადა. ამ ბრიგადების მოსამარაგებლად, რაიონებს უკვე გაეგზავნა 2.000 პირველი დახმარების აფთიაქი და 8.000 ინდივიდუალური პაკეტი.

დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი სანიტარული ინსპექტორიის მომზადებას. მოწყობილია 1.540 პირველი დახმარების წრე, რომლებიც მოამზადებენ 15.400 კაცს.

მთავრობა დიდ სახსრებს ხარჯავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სამედიცინო მომსახურებისათვის. წელს საქართველოში გათვალისწინებულია ამ მიზნისათვის დაიხარჯოს 150.000 მანეთი.

რეგულარულად უნდა სწარმოებდეს საექიმო პერსონალის მიერ კოლმეურნეთა ბინების შემოვლა, ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების გამოვლინება, ავადმყოფთა დროული ჰოსპიტალიზაცია.

საჭიროა ორგანიზებულად მოეწყოს მალარიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური მუშაობა—მალარიის კერების დამუშავება, ბონიფიკატორების, აკრიხინიზატორების მომზადება და მოსახლეობაში აკრიხინიზაციის განხორციელება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფეხმძიმე ქალებისა და ჩვილბავშვიანი დედებისათვის კოლმეურნეობაში შესაფერისი სამუშაოს შერჩევას, კოლმეურნეობათა ხარჯზე სეზონური საბავშვო ბაგების მოწყობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად სანიტარული პირობების დაცვას. საჭიროა რაიონებში ჩატარდეს სისუფთავის დაცვის ერთთვიური, გაიწმინდოს დასახლებული ადგილების ტერიტორია, ეზოები, წყალსაცავები და საველე სადგომები.

ზაფხულის თვეებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასმელი წყაროების სანიტარულ მდგომარეობას, მინდვრად მომუშავეთა სასმელი წყლით უზრუნველყოფას და კვების ობიექტებში სანიტარული წესრიგის დაცვას.

სერიოზული მუშაობა სწარმოებს კოლმეურნეობებში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ეწყობა ლექცია-საუბრები, გამოიცა და ადგილებს დაეგზავნა პოპულარული ბროშურები და პლაკატები სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებზე. საჭიროა ამ დარგში მუშაობა კიდევ უფრო გავაძლიეროთ.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას ძირითადად ახორციელებს სოფლის საექიმო უბანი, რომელიც წარმოადგენს კომპლექსური ხასიათის სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებას. საექიმო უბანი სოციალისტური სოფლის აუცილებელ დაწესებულებას წარმოადგენს. მაგრამ ზოგან საექიმო უბნის კეთილმოწყობას ნაკლები ყურადღება ექცევა. საჭიროა საექიმო უბნები უზრუნველვყოთ ბინებით, განათებით, გათბობითა და ტრანსპორტით. ამ მნიშვნელოვანი საქმის მოწესრიგებისათვის უნდა იზრუნონ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა, სოფლის საბჭოების აღმასკომებმა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა.

მედიცინის მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმეა სანიმუშოდ დააყენონ საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნების საქმე. ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა დაირაზმოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მთელი კოლექტივი.

ალ. მინდაძე

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე

საქართველოს ფილარმონია ზაფხულის სეზონში

1 მაისს გაიხსნება საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო სეზონი. თბილისში ერთსა და იმავე დროს იმუშავებს 3 საზაფხულო თეატრი. გარდა ამისა, ფილარმონია მოემსახურება სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის პარკებს, ოფიცერთა სახლის პარკს, ვოროშილოვის, ბერიას, გორკის სახელობის საზაფხულო კლუბებს, ქუთაისს, გორს, ზესტაფონს, სამტრედიას, ცხაკაიას და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კამპანიების დროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნება მხატვრული ბრიგადები და ანსამბლები.

მიმდინარე წელს დიდი ყურადღება მიექცევა კურორტების მხატვრულ მომსახურებას. კერძოდ, განზრახულია გაგრაში თვენახევრით გაიგზავნოს სიმფონიური ორკესტრი.

ფილარმონიის დირექციასთან შექმნილია სამხატვრო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: ი. გრიშაშვილი, ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, დ. კაკაბაძე, ს. ჭელიძე, ბ. ქლენტი, შ. თაქთაქიშვილი, ი. გოკიელი, გ. ჩხიკვაძე, ი. ვაკელი და მიხ. ჯაფარიძე. საბჭო მუშაობს ახალ ნაწარმოებთა შერჩევისა და მსახიობთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე.

ელექტროსადგური ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში

ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (დაგვის სასოფლო საბჭო) შენდება 185 ცხენის ძალიანი ელექტროსადგური, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წელს.

სადგური ელექტროენერგიას მიაწოდებს დაგვის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს, ჩაის ფაბრიკასა და წისქვილს.

თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე ყურადღებას იპყრობს ოქროსფრად შეღებილი გუმბათიანი სახლი, თვალწარმტაცია მისი ორნამენტებითა და ბარელიეფით დამშვენებული ფასადი. ამ შენობაში კინოთეატრი „ოქტომბერია“.

წელს 700 ათასი მანეთი დაიხარჯა შენობის კაპიტალური რემონტისათვის. გამოცვლილია ეკრანი, კაპიტალურად შეკეთებულია მთავარი დარბაზი და ფოიე, აღდგენილია კედლებისა და ჭერის მხატვრობა.

წინათ კინოთეატრს ერთი გასასვლელი ჰქონდა კარგარეთელის ქუჩით. ამჟამად მეორე ტარუსიდან ჩამოხული მაყურებლები პლეხანოვის პროსპექტზე გამოვლენ კინოთეატრიდან.

მეორე სართულის ფოიეში მოეწყობა ბიბლიოთეკა. აქვე იქნება მაგიდები ჭადრაკისა და შაშის მოყვარულთათვის, აგრეთვე სხვადასხვა მხატვრული გამოფენები.

კინოთეატრი „ოქტომბერი“ გაიხსნება 1 მაისს.

სურათზე: კინოთეატრ „ოქტომბერის“ შენობა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საქართველოს მოჭადრაკეთა VIII ჩემპიონატი

პირველი ტური

დაიწყო საქართველოს მოჭადრაკეთა შეჯიბრება 1947 წლის პირველობისათვის. შეჯიბრებაში ხუთი ოსტატობის კანდიდატი და ცხრა საკავშირო პირველი კატეგორიის მოჭადრაკე იღებს მონაწილეობას.

პირველ ტურში ფირცხალავამ მოუგო ღონღაძეს, მალაშხიამ — გიორგაძეს, ფხაკაძემ — გაჩეჩილაძეს, შიშოვმა—ბუსლაევს. ცინცაძე — ქარსელაძის და არუთინოვ-ბლაგიძის პარტიები ყაიმით დასრულდა. სოროკინ-ალამალიანის პარტია გადაიდო.

დღეს შესდგება მეორე ტური. ითამაშებენ: გაჩეჩილაძე-არუთინოვი, ფირცხალავა-შიშოვი, სოროკინი-ბლაგიძე, მალაშხია-ღონღაძე, ქარსელაძე-გიორგაძე, ცინცაძე-ალამალიანი, ბუსლაევი-ფხაკაძე.

მესხეთის თეატრის სპექტაკლები კოლმეურნეობებში

მესხეთის სახელმწიფო დრამის თეატრმა სამხატვრო ხელმძღვანელის მიხეილ მექმარიაშვილის რეჟისორობით მოამზადა და მაყურებლებს უჩვენა ორი ახალი სპექტაკლი—დ. ერისთავის „სამშობლო“ და გ. ქელბაქიანის „სევდიანი რომანი“.

თავისი ახალი დადგმები თეატრმა კოლმეურნეობებშიც აჩვენა. სპექტაკლები დადგმული იყო სოფელ მუსხის „წითელი სხივის“, ურავლის 26 კომისრის სახელობის, აწყურის სტალინის და კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობების კლუბებში.

სპექტაკლებში როლებს ასრულებენ ახალგაზრდა მსახიობები ვ. მაზმიშვილი, ვ. ჩინჩალაძე, ვ. ივანიძე, ნ. ზამბახიძე, ა. ჩიტაძე, ე. ივანოვი, რ. ელისაშვილი, თ. მანველიშვილი, ო. მახარაძე, მ. ილავიძე და სხვ.

ნ. ფარჯანაძე

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

23-26 აპრილს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია იმუშავებს შემდეგი განრიგით:

23 და 26 აპრილს, საღამოს 7 საათზე, შესდგება პლენარული სხდომები უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

24 და 25 აპრილს სხდომები ჩატარდება სექციების მიხედვით. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექცია იმუშავებს სააქტო დარბაზში. სექციის ხელმძღვანელია პროფესორი ა. ბარამიძე; ტექნიკის, ფიზიკის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სექცია იმუშავებს ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (მეორე კორპუსი). სექციის ხელმძღვანელია დოცენტი ვ. ხუხუნაიშვილი; სამედიცინო მეცნიერებათა სექცია იმუშავებს № 86 აუდიტორიაში (პირველი კორპუსი). სექციის ხელმძღვანელია პროფესორი ვ. ჟღენტი.

ხელოვნების ქრონიკა

ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის მალიუგინის პიესა „ძველი მეგობრები“. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები: ვ. სვანელი, თ. ლოლაძე, ე. დევიძე, გ. ტყაბლაძე, მ. კუსიანი, ბ. დურმიშიძე, ბ. ვაშაძე, ნ. ქამუშაძე, გ. ფერაძე, ი. ტყემალაძე.

პიესა დადგეს რეჟისორებმა მ. ცომაიამ (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) და გ. ტყაბლაძემ. მუსიკა ეკუთვნის პროფესორ კოტე მეღვინეთუხუცესს, მხატვრული გაფორმება — მ. აბაკანდაძეს.

* * *

აბაშის რაიონის ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა გ. შატბერაშვილის პიესა „ფიქრის გორა“. დადგმა განახორციელა რეჟისორმა თ. კირთაძემ. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ქ. გაგუას.

როლები შეასრულეს მსახიობებმა ა. თედორაძემ (მოთა), გ. რუხაძემ (ელიზბარი) და თ. კირთაძემ (თამარი).

ახალი წიგნები

სახელგამმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

ომარ-ხაიამი—რობაიები (ლექსები) დ. კობიძის რედაქციით და მისივე წინასიტყვაობით. ლექსები სპარსულიდან სთარგმნა ა. ჭელიძემ. წიგნი გაფორმებულია მხატვრების თ. გაბაშვილის და გ. გორდელაძის მიერ, შეიცავს 100 გვერდს და ღირს 9 მანეთი.

აკადემიკოს ვ. თოფურიას და დოცენტ ი. გიგინეიშვილის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, პროფესორ ყაუხჩიშვილის რედაქციით. წიგნი შეიცავს 262 გვერდს და ღირს 7 მანეთი.

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა გამოსცა „კრასნოდონის გმირები“ (მასალები და დოკუმენტები მტრის ზურგში არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის „ახალგაზრდა გვარდიის“ მუშაობის შესახებ). წიგნი შეიცავს 74 გვერდს და ღირს 2 მანეთი 50 კაპიკი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლექცია

23 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში (საბჭოს ქ. № 134) შესდგება ფრიშენბერგის ლექცია თემაზე **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“**.

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

თეატრებში

23 აპრილს: ფალიაშვილის სახელობის — „სევილიელი დალაქი“; მარჯანიშვილის სახელობის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“; გრიბოედოვის სახელობის — „ტარტიუფი“; სომხური— „დიდი ქორწილი“; მუსიკალური კომედიის — „სამთა სიყვარული“.

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა 23 აპრილისათვის

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15—ლიტერატურული გადაცემა—ნაწყვეტი სერვანტესის „დონ-კიხოტიდან“.

რადიოსადგურებით 1154 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — ნაწყვეტები რიმსკი-კორსაკოვის ოპერებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.20 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 19.00 — სიმფონიური კონცერტი ბეთჰოვენის ნაწარმოებებიდან. ასრულებენ საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტები, გუნდი და ორკესტრი. დირიჟორი, ნასიძე. 20.30 — სავიოლინო მუსიკის კონცერტი. 20.45 — საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივნის ამხ. გონგაძის საუბარი თემაზე: „თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში“. 21.05 — კონცერტი სტალინური პრემიის ლაურეატის ლემეშევის შესრულებით. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე. ნაწყვეტი შოთა რუსთაველის პოემიდან „ვეფხის ტყაოსანი“, თარგმანი შალვა ნუცუბიძისა. წაიკითხავს კოტე მაჭავარიძე. 22.00 — შექსპირისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-ლიტერატურული გადაცემა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ექსპერიმენტული განყოფილების გამგე—მეცნიერებათა დოქტორი, მიკრო-ბიოლოგიური ლაბორატორიის გამგე—მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკური ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე—მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერიმენტული განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი (საქმიო სტაჟით და შრომებით).

განცხადება საკონკურსო დებულებათა შესაბამისი დოკუმენტებით უნდა გამოგზავნილ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე მისამართით: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 60.

განცხადებების შემოტანის ვადა 1 თვე დღიდან გამოცხადებისა. **დირექცია**

მოქალაქე **გივი მიხეილის-ძე ბარბაქაძემ**, მცხოვრებმა 1 შირშოვის ქ. № 20, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლუდმილა ალექსანდრეს ასულ შაიკევიჩთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სოლომონ იოსების-ძე კაცმა**, მცხოვრებმა ვარდისუბნის ქ. № 3, აღძრა საქმე საზოგადოების ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე **არუსიაკ გრიგოლის ასულ კაცთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ვ. გოგუა, გ. ზამბახიძე, ს. ჭელიძე, მ. ბალავაძე, ქ. ჭიჭინაძე, ნ. გაბუნია, გ. ალავიძე, ა. ბორქაია, ა. გაბუნია, ნ. ნამიჩეიშვილი იუწყებიან ი. ნ. ლალიძის მამის **ნიკიფორე ბეჟანის-ძე ლალიძის** გარდაცვალებას.

ს. კალანდაძე, ა. ბერიკაშვილი, ა. ხაჩიძე, ნ. არლანაშვილი, ვ. ბახტაძე, ნ. ჩხატარაშვილი, მ. ცუცქირიძე, ს. ფიროშოვი, შ. კაკურია, ნ. მჭედლიშვილი, ა. კილურაძე, დ. ჩარექოვი, ვ. სუტჩენკო, ო. ქავთარაძე, ე. მაჩაბელი იუწყებიან გიორგი ფერაძის დედის **ნადეჟდა ფერაძის** გარდაცვალებას.

შვილები აპოლონ და ლომინ ოჯახით იუწყებიან **რამინ ჯამულეთის-ძე გუგულავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV კოდორში (აბაშის რაიონი).

ვაკეთა მე-20 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან მასწავლებელ ლეოლინა აბრამიას დედის **ელენე აბრამიას** გარდაცვალებას.

I ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს და კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ მერი ჭავჭავაძე-ტორაძის დედის **ელენე გიორგის ასულ ჭავჭავაძის** გარდაცვალებას.

შვილები მარიამ, ვერა, კოლია, გიორგი ოჯახებით იუწყებიან **ელენე კარპეს ასულ ნიჟარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 7 ს. გამოსვენება 24-IV, 5½ ს. ვერცხლის III შესახვევი, 3.

მეუღლე ალექსანდრე შვილით, სიძე ვ. მგალობლიშვილი იუწყებიან **ნინო გრიგოლის ასულ თუხარელი-კვალიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-IV, 7 ს. გამოსვენება 24-IV, 6 ს. კლდიაშვილის, 6.

მეუღლე ანიჩკა, შვილები პაშა, ჰიჰიკო, ქუქური, ნოდარ, თამაზ, ჯიანეტა, სიძე ტიტე იუწყებიან **გიორგი ბესარიონის-ძე ქურციკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV ჭიათურაში.

ამხანაგების ჯგუფი იუწყება ვარია რევიშვილის მამის **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე რევიშვილის** გარდაცვალებას.

პ. თოდუა, რ. შენგელია, ფ. კეშელავა, მ. ჩხეიძე, ნ. დარახველიძე, ი. საგინაშვილი, ნ. ქსოვრელი, ვ. შავდია, ვ. კაკაბაძე, გ. ქარსელი, ვ. ჯაში, ს. ვიქტოროვი, გ. ჯვარიშვილი და ს. ჭიაურელი იუწყებიან კოტე მურჯიკნელის მამის **იასონ მურჯიკნელის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამოშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 ფე 00163